საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 7 აპრილი. 2017 წ. №73 (8210), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ომარ მარგველაშვილი:

„ოცნების“ დაპირებები ჯერჯერობით ოცნებად რჩება!..

5

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთი საპირველაპრილო ჟურნალისტური ფანდის გამო

ბოდიში წამალი არ არის!..

კიდევ ერთი ნაბიჯი უფსკრულისკენ

4

რა თანხა უდევს საფულეში თამარ კორძაიას?

ოსური „არჩევნები“ – ნაბიზგინი რუსული ცოფით

3

სამაჩაბლოსა და დანარჩენ საქართველოში

პოეტის ერთი ლექსი

შოთა ზოიძე

12

აგრაფინა კისკისა

„კასინის“ დიდებული დასასრული,

11

ანუ სატურნის რკალის საიდუმლო ამოხსნილია



გვეშველა და ეგ არის!

2

„ხარისხის არხი“ ახალ ხარისხიან ეროვნულ მოძრაობას გვპირდება!..

დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში საქართველოს ელჩი მიიღო

თეთრ სახლში აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე მიიღო. ახალდანიშნულ ელჩთან გაცნობითი შეხვედრისას პრეზიდენტმა ტრამპმა საქართველოს ელჩს მისიის დაწყება მიულოცა.

დავით ბაქრაძემ ამერიკის პრეზიდენტს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების საქმეში საქართველოს წვლილზე და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე გაუმახვილა ყურადღება. დონალდ ტრამპმა წარმატებები უსურვა ელჩს მომავალ საქმიანობაში.

2035 წელს ქრისტიანებზე მეტი მუსლიმი დაიბადება

2035 წლისთვის უფრო მეტი მუსლიმი დაიბადება, ვიდრე ქრისტიანი. ამ დასკვნამდე Pew Research Centre-ს მეცნიერები მივიდნენ. მათი მტკიცებით, 18 წელიწადში ახალშობილ მუსლიმთა რაოდენობა 225 მილიონს, ქრისტიანების რაოდენობა კი 224 მილიონს შეადგენს. 2060 წლისთვის სხვაობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ისლამისტებმა 33 ადამიანი სიკვდილით დასაჯეს

ისლამურმა სახელმწიფომ წლის დასაწყისიდან დღემდე ყველაზე მასობრივი სიკვდილით დასჯა მოაწყვეს. ამის შესახებ ლონდონში ბაზირებული ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ცენტრი იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, დეირ-ეზ-ზორში ისლამისტებმა სიკვდილით 33 ადამიანი დასაჯეს. ისინი ორმოში ჩაყარეს, სადაც წვეტიანი ბოძები იყო ჩარჭობილი.

ბელგიის პოლიციამ ბლომად კოკაინი ამოიღო

ბელგიის საზღვაო პოლიციამ კოკაინის მსხვილი პარტია დააკავა. სამართალდამცველების გამოჩენის შემდეგ კოკაინი სამხრეთამერიკული გემიდან სპორტული ჩანთებით ზღვაში გადაყარეს. ჩანთებში 50 კილოგრამი კოკაინი აღმოაჩინეს, რომლის საერთო ღირებულება 62 მილიონ ევროს აღემატება.

ასტრახანის თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო

ასტრახანში ეროვნული გვარდიის მოსამსახურეებზე თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფებამ აიღო. ამის შესახებ ისლამისტები საკუთარ პორტალი Amaq-ზე იტყობინებიან. მათივე მტკიცებით, გვარდიელებზე თავდასხმა სწორედ იმ პირებმა განახორციელეს, რომლებმაც 4 აპრილს ასტრახანში ორი პოლიციელი მოკლეს. ოთხივე თავდამსხმელი ლიკვიდირებულია.

ჩვენ ვერ შევეგუებით იმას, რომ დანაგვიანებული იყოს ჩვენი ბუნება, რომელსაც ყველა უნდა გავუფრთხილდეთ!

დანაგვიანება არის ძალიან მძიმე პრობლემა, რომელიც არა მხოლოდ საინფორმაციო კამპანიით, არამედ კომბინირებულად, სანქციებით უნდა მოვაგვაროთ, ისე, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია გათვალისწინებული; ეს ჩვენი ღირსების საქმეა, — ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გააკეთა.

პრემიერის თქმით, დანაგვიანების მხრივ კატასტროფული ვითარებაა, როგორც ავტობანის მიმდებარე, ისე სხვა ტერიტორიებზე.

„სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ საინფორმაციო კამპანიით ვერ ვაღწევთ იმ შედეგს, რომ პოლიეთილენის პარკები თუ სხვა ტიპის ნაგავი არ იყოს მიმოფენილი ჩვენი ქვეყნის ულამაზეს ლანდშაფტზე. ამის თაობაზე წერენ ჩვენი მოქალაქეები, ჩამოსული ტურისტები და ეს არის ძალიან მძიმე პრობლემა, რომელიც არა მხოლოდ საინფორმაციო კამპანიით, არამედ კომბინირებულად, სანქციებით უნდა მოვაგვაროთ, ისე, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია გათვალისწინებული. ეს ჩვენი ღირსების საქმეა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრისგან მოისმინა ინფორმაცია, პრობლემის კომპლექსურად გადაჭრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. გიგლა აგულაშვილის განმარტებით, შინაგან საქმეთა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების წარმომადგენელთა ჩართულობით ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფი უახლოეს დღეებში დაასრულებს მუშაობას ერთიან მოდელზე, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებს, ადმინისტრირების გაუმჯობესებას, საინფორმაციო კამპანიის გააქტიურებას, მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩართულობას და ყველა მუნიციპალიტეტს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას გულისხმობს. მინისტრის თქმით, ასევე განხორციელდება ყოველდღიური მონიტორინგი და პროცესის მიმდინარეობის შესახებ მოსახლეობა ინფორმაციას მუდმივად მიიღებს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პრობლემის დროული აღმოფხვრა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ზაფხულის ტურისტული სეზონის მოახლოების გათვალისწინებით.

„მე ბევრს ვმოგზაურობ საქართველოს ფარგლებში და მინდა, გავაფრთხილო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები — ძალიან მწვავე რეაქცია მექნება, თუ არ გვექნება შედეგი რამდენიმე თვეში, რადგან ეს არის ჩვენი ქვეყნის სახე და საქართველოს მოსახლეობის კულტურის მაჩვენებელი. ამიტომ, ვერ შევეგუებით იმას, რომ ასეთ მდგომარეობაში იყოს ჩვენი ქვეყნის ბუნება, რომელსაც ყველა უნდა გავუფრთხილდეთ. მინდა, ყველა უწყებას ვთხოვო, მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდონ ამ საკითხს“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

2017 წლის პირველ კვარტალში ღვინის ექსპორტი 85 პროცენტით გაიზარდა

დადებით სტატისტიკურ მაჩვენებლებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ისაუბრა.

რაოდენობრივად, იანვარ-მარტში საქართველოდან ექსპორტირებულია 14 200 000 ბოთლი ღვინო, რაც თანხობრივად 77%-იან ზრდას შეადგენს.

„ეს, ვფიქრობთ, ძალიან კარგი მაჩვენებელია. განსაკუთრებით გვახარებს ის, რომ ბაზრებზე დივერსიფიკაცია იზრდება და ეს არის არა მხოლოდ საქართველოს სამეზობლოში არსებული ქვეყნები, არამედ ევროკავშირის და ჩინეთის ბაზარი, რომელიც ძალიან მზარდია. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის უდიდეს მნიშვნელობაზე საქართველოსთვის“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და მადლობა გადაუხადა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომლის ჩართულობითაც **„ძალიან ბევრი პოზიტიური საქმე კეთდება არა მხოლოდ ღვინის ექსპორტის მიმართულებით“.**

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მნიშვნელოვანია, ასევე გაგრძელდეს, რადგან სოფლის მეურნეობა არის სწორედ ის მიმართულება, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის ყოფაზე ყველაზე მეტი სოციალური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. პრემიერმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნულ სააგენტოს ღვინის ექსპორტის მეტი კოორდინაციის თხოვნითაც მიმართა, რადგან გიორგი კვირიკაშვილის თქმით, სამწუხაროდ, ზოგიერთ ბაზარზე „ქართველი მეწარმეები ერთმანეთთან არაპროდუქტიულ კონკურენციაში არიან“.

გიორგი მარგველაშვილი ქუთაისში სტუდენტებს შეხვდა

საპრეზიდენტო კამპანია კონსტიტუციის დამტკიცებამდე ცვლილებების განხილვის პროცესში საერთო სახალხო ჩართულობის უზრუნველყოფას და საკონსტიუციო რეფორმის ძირითად საკითხებზე დისკუსიას ითავლისწინებს.

საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უმთავრესი და ჩარჩო კანონის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ კონსტიტუცია უპირველესად, თავისუფალი მოქალაქეების თავისუფალი განწყობების თანხმობის დოკუმენტია, რომელშიც უნდა ჩაიწეროს როგორი ცხოვრების წესი გვსურს.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, კონსტიტუციური რეფორმების პროცესში უმთავრესია, რომ ქვეყნის ყველა მოქალაქე იყოს ჩართული და სწორედ, მათი სურვილების და ნაბრევის საფუძველზე შეიქმნას მთავარი დოკუმენტი უკვე იურისტების მიერ.

„მე მომხრე ვარ კონსტიტუციური კანონების პატივისცემის და იმგვარი კონსტიტუციის, რომელშიც ჩვენი ხალხის სულისკვეთება იქნება ასახული“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტებთან შეხვედრისას.

პრეზიდენტმა კონსტიტუციაში ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის, თვითმმართველობების გაძლიერების, უფასო განათლების, სოციალური დაცვის გარანტიების ზრდის საკითხების შესახებ ისაუბრა. გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტების შეკითხვის საპასუხოდ კონსტიტუციაში პრეზიდენტის არჩევის წესის ცვლილების შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ მას აინტერესებს იმ ადამიანების არგუმენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ პირდაპირი არჩევის წესი უნდა შეიცვალოს.

„საქართველოში ჩამოყალიბდა პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის 25-წლიანი პოლიტიკური ტრადიცია. ვინც ცვლის ამ კანონს, მათ აუცილებლად უნდა ამიხსნან, რატომ მიცვლიან ამ ტრადიციას, რატომ იქნება ეს იმაზე უკეთესი ჩვეულებრივი ადამიანებისათვის.

მე მხარს არ ვუჭერ ხალხისათვის პრეზიდენტის არჩევის უფლების წართმევას. ჩემი ბერკეტი სწორედ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მოსაზრებაა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც, იმედი მაქვს, გავაგონებ საკონსტიტუციო კომისიას“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა. პრეზიდენტი კამპანიის ფარგლებში ჩასვლას ყველა რეგიონში გეგმავს.

გვეშველა და ეგ არის!

„ხარისხის არხი“ ახალ ხარისხიან ეროვნულ მოძრაობას გვპირდება!..

ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, სატელევიზიო არხების სიმრავლით, ალბათ, როგორც ევროპის, ისე აზიის ბევრ მრავალრიცხოვან, ანუ ბევრად დიდ ქვეყნებს უსწრებს. ერთი სიტყვით, სატელევიზიო დემოგრაფია საქართველოში ალჩუზეა. და, ალბათ, რაც საუკუნეთა მანძილზე ჩვენს ხალხს, ერთად აღებულს, არ ულაპარაკია, დღეს ეს ერთიასად კი არა, ერთი ათასად არის ანაზღაურებული.

და საქარვთელო წალეკა ფუჭსიტყვაობის ნიაღვარმა. დღეს საქართველოში ყველა დიქტორია, ყველა ანალიტიკოსია, ყველა პოლიტოლოგია, ანუ ყველამ ყველაფერი იცის... ყველა სიბრძნით გატენილია, ყველა წინასწარმეტყველია. ეს მაშინ, როცა მთელი მეოთხედი საუკუნეა, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას საშველი არ დაადგა და, ჩვენდა სავალალოდ, სიდუხჭირის ლაბირინთს ბოლო არა და არ უჩანს, თუმცა, ამ ხნის მანძილზე ცოტა ევროპელები კი გავხდით. როგორც ჩანს, ჩვენმა უხილავმა მოსემ კიდევ ხუთმეტი წელიწადი, ანუ ჯამში სულ ორმოცი წელიწადი უნდა გვატაროს აღთქმული ქვეყნისკენ.

აი, ამ შავ უიმედობაში მყოფთ სულზე მოგვისწრო კიდევ ერთმა ამეტყველებულმა ყუთმა, რომელსაც რატომღაც „ხარისხის არხი“ ჰქვია და ისედაც ადიდებული ფუჭსიტყვაობის ნიაღვარს კიდევ უფრო გაუფართოვა კალაპოტი.

მაგრამ არა, ფუჭსიტყვაობა აქ, მგონი, უადგილოდ ვიხმარე. მართალია, ჯერჯერობით მთლად კარგად არა ვარ მიმხვდარი, ამ ახალშობილი არხის ხარისხიანობაში, მაგრამ როგორც ბოლო ხანს გამოიკვეთა და თანდათან სულ უფრო ცხადად იკვეთება, თურმე რაც ცხონებულმა ზვიად გამსახურდიამ ასევე ცხონებულ მერაბ კოსტავასთან ერთად ვერ მოასწრო, უფრო სწორად, რაც ბნელმა ძალებმა ძალადობრივად არ დააცალეს რომ მოესწრო, ანუ ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობას ბოლომდე გაეშალა არწივის ფრთები, სწორედაც ამ ხარისხის მეარხეებს თავიანთ თავზე აუღიათ იმ უდროოდ შეწყვეტილი მოძრაობის, როგორც შეწყვეტილი სიმღერის, ახალი ძალის ხმიანობით გაგრძელება.

4 აპრილის გადაცემის დროს თავადვე განაცხადეს: მართალია, ზვიად გამსახურდია საქართველოს მტრებმა მუხანათურად მოკლეს და არ დააცადეს სამშობლოს გაბრწყინებაო, მაგრამ იგი მკვდრეთით აღდგა, როგორც ქრისტე, ოღონდ ახლა სხვა სახელითა და გვარით მოევლინა თავის მრავალტანჯულ სამშობლოს და დღეს ის სახელად ლევანია, გვარად ჩაჩუაო.

დიახ **ლევან ჩაჩუა** თურმე იგივე ზვიად გამსახურდიაა, ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ბელადი, რომელიც „ხარისხის არხის“ მეშვეობით თავის ზვიადგამსახურდიაობაში არწმუნებს ყოველდღე დაუღალავად, როგორც ეროვნული მოძრაობის ძველ წევრებს, ისე დღევანდელ ქართველებს და პირდაპირ, დაუფარავად მოუწოდებს ნამდვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისკენ, რომელმაც ოცდახუთწლიანი ამერიკული კოლონიური მდგომარეობიდან საბოლოოდ უნდა იხსნას საქართველო.

ლევან ჩაჩუად გარდასახულ ზვიად გამსახურდიას ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამუდმებით მხარს უჭერს ქართველი ემიგრანტი მამულიშვილი ბატონი დავით კარტოზია, რომლისთვისაც მიუღებელია გამსახურდიას შემდგომი ყველა მთავრობა დღევანდელი „ქართული ოცნების“ ჩათვლით. იგი, როგორც თავადვე აცხადებს, ამ ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის იქ, იმ შორეულ კონტინენტზე აერთიანებს აქაური სიდუხჭირისგან თავის დასაღწევად გადახვეწილ ქართველებს, რომელთაც თურმე ერთი სული აქვთ, **როდის ავაფრიალებთ ლევან ჩაჩუას (ზვიად გამსახურდიას) თავკაცობით ნამდვილი თავისუფლების დროშას აქ დარჩენილი ტრაკგამოხეული ქართველები.**

ეტყობა, ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უკვე არხის გარეთაც დაწყებულა. ბოლო დღეებში „ხარისხის არხმა“ პოლიტიკური ხარისხიანობით აჩვენა საგარეჯოში და კიდევ რამდენიმე ადგილას ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი, რომელთა პლაკატებს „ხმამაღლა“ აწერია: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“ ან „საქართველო ნამდვილად უნდა განთავისუფლდეს!“ „გვეყო ამდენი ტყუილი დემოკრატია და დამოუკიდებლობა!“ „მაძღრები მშივრებს ჭკუას ნუ გვასწავლით“!

აი, თურმე რა ხარისხნობას გულისხმობენ „ხარისხის არხის“ პატრიოტი დამფუძნებლები. მე კი ასეთი გაუთავებელი ლაქლაქის დროს, ანუ როცა იმის მაგივრად, რომ მუხლჩაუხრელად მუშაობდეს და რამე საქვეყნო დოვლათს ქმნიდეს, ნახევარი ხალხი ლაპარაკს უნდება, ხოლო მეორე ნახევარი უსმენს, განათლებული ბებიაჩემის ნათქვამი მაგონდება: როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო!..

გურამ წიკლაური

ოსური „არჩევნები“ – საბიზგინი რუსული ცოდით

რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი 9 აპრილს მორიგი „ლიდერის“ „ასარჩევად“ ემზადება. ანკლავში, სადაც ლანჩხუთის რაიონზე ოდნავ მეტი ამომრჩეველია (32 736), „პრეზიდენტობისთვის“ მოქმედი ლიდერი ლეონიდ თიბილოვი, „ნიხასის“ ყოფილი „სპიკერი“ ანატოლი ბიბილოვი და ოსური კდბ-ს თანამშრომელი ალან გაგლოევი იბრძვიან.

მოსკოვის ფავორიტი ცნობილია. იგი 65 წლის ლეონიდ თიბილოვია, რომელიც სეპარატისტულ ანკლავს 2012 წლიდან „მართავს“. რუსეთის ღია მხარდაჭერის სადემონსტრაციოდ, მარტის ბოლოს, პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ლეონიდ თიბილოვს კრემლში „უმაღლეს დონეზე“ უმასპინძლა და წარმატება უსურვა.

ლეონიდ თიბილოვის „მაშველი რგოლის“ ფუნქცია КГБ-ს თანამშრომელ 36 წლის ალან გაგლოევს აკისრია. მისი ერთადერთი ამოცანა ანატოლი ბიბილოვისთვის ხმების წართმევაა, ლეონიდ თიბილოვის სასარგებლოდ, რომელიც ასევე საბჭოთა КГБ-ს წიაღიდან არის გამოსული.

ღია დებატების დროს, რომელიც ცხინვალის ტელევიზიამ გუშინწინ გადასცა, ლეონიდ თიბილოვმა ბუნებრივია, ყურადღება დედა რუსეთის უზარმაზარ ღვაწლზე გაამახვილა: „ყოველთვის გვემახსოვრება, თუ რა დახმარება გაგვიწია რუსეთმა ოსი ხალხის უახლესი ისტორიის მანძილზე, ეს იყო 1989, 1992 წლები და 2008 წლის აგვისტო. ეს დახმარება, რა თქმა უნდა, დღემდე იგრძნობა. ამიტომ ჩვენი მთავარი საგარეო პოლიტიკური მიმართულება არის და ყოველთვის იქნება პრორუსული“.

ლეონიდ თიბილოვი „საპრეზიდენტო რბოლაში“ სტარტზევე მოპოვებულ უპირატესობას რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის თანაშემწეს ვლადისლავ სურკოვს უნდა უმადლოდეს. მისი უშუალო მითითებით, მარტის დასაწყისში, „არჩევნებში“ მონაწილეობის უფლება არ მისცეს ედუარდ კოკოითს, რომელიც ანკლავს 2001-2011 წლებში მართავდა.

ედუარდ კოკოითმა ვლადისლავ სურკოვს „თაღლითი“ უწოდა, ცხინვალში საპროტესტო ტალღის აგორება სცადა, თუმცა, მოსკოვიდან ზეწოლის გაძლიერების შემდეგ, აქციები შეწყვიტა და საკუთარ მომხრეებს 9 აპრილს, ანატოლი ბიბილოვის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. 47 წლის ანატოლი ბიბილოვზე, რომელსაც თბილისში, გენერალ ლესელიძის სახელობის სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატი აქვს დამთავრებული, მოსკოვმა ერთხელ უკვე გააკეთა ფსონი და შეცდა. 2011 წელს ანატოლი ბიბილოვს რუსეთში ედუარდ კოკოითის შემცვლელად განიხილავდნენ, თუმცა მან „საპრეზიდენტო არჩევნები“ „განათლების“ ყოფილ „მინისტრ“ ალა ჯიოევასთან წააგო, რასაც ოსურ კლანებს შორის კინაღამ სამხედრო შეტაკება მოჰყვა. საბოლოოდ, მოსკოვის მოთხოვნით, 2011 წლის „პრეზიდენტის არჩევნების“ შედეგები „არალეგიტიმურად“ გამოცხადდა, ალა ჯიოევა და ანატოლი ბიბილოვი „რბოლას“ საერთოდ ჩამოაშორეს. ანკლავი ჯერ ჩელიაბინსკელ ემისარ ვადიმ ბრონცევს ჩააბარეს, 2012 წელს კი ლეონიდ თიბილოვს გადაულოცეს.

ანატოლი ბიბილოვი მიმდინარე კამპანიის დროს მთავარ აქცენტს „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის აუცილებლობაზე აკეთებს და ამ საკითხზე „რეფერენდუმის“ დანიშვნას ითხოვს: „ჩვენ უნდა გადავწყიტოთ – სამხრეთელ ოსებს გვინდა თუ არა რუსეთის შემადგენლობაში შესვლა? ეს შეიძლება გავიგოთ, მხოლოდ რეფერენდუმის გზით. რაც შეეხება პოლემიკას, მიგვიღებს რუსეთი თუ არა? ჩვენ ველოდებით 1992 წლიდან და კიდევ მოვიცდით, მაგრამ მთავარია, ახლა თავად საბოლოოდ გავერკვეთ, რა გვინდა“.

ექსპერტების აზრით, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში დანიშნული „არჩევნების“ ბედი, სავსებით, შესაძლებელია, მის ფარგლებს გარეთ გადაწყდეს. 9 აპრილის „არჩევნებისთვის“ ჯამში 40 200 ბიულეტენია დაბეჭდილი, მაშინ, როცა ოკუპირებულ ანკლავში სულ 32 736 ამომრჩეველია „რეგისტრირებული“. ზედმეტი 7464 ბიულეტენი რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში (ერთი), ვლადიკავკაზში (სამი) და ოკუპირებულ სოხუმში (ერთი) გახსნილი 5 „საარჩევო უბნისთვის“ არის განკუთვნილი, სადაც ხმის მიცემა „სამხრეთ ოსეთის პასპორტის“ მქონე რუსეთის მოქალაქეებს შეეძლებათ. 9 აპრილს, „საპრეზიდენტო არჩევნების“ პარალელურად, ანკლავში „რეფერენდუმიც“ ტარდება, რომლის მიზანია „სამხრეთ ოსეთს“ დასახელებაში „სახელმწიფო ალანია“ დაემატოს.

ცივილიზებული სამყარო 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და რუსული ოკუპაციის გამო, „არჩევნებსა“ და „რეფერენდუმს“ ცხინვალში, უკანონოდ და არალეგიტიკურად მიიჩნევს.

„Radio Voice of America“ (აშშ)

მარგველაშვილი ცდილობს, მეტი ფუნქცია შესძინოს თავის თანამდებობას!

დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლასთან დაკავშირებით კომენტირებისას განაცხადა.

„მივალთ და მოვისმენთ, თუ რამე კითხვები იქნება, ვთქვათ დევნილებთან დაკავშირებით, გავაკეთებ კომენტარს. პრეზიდენტი წესით უნდა იყოს არბიტრი, იმიტომ რომ ასეთია საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტის როლი. მარგველაშვილი ცდილობს, ცოტა მეტი ფუნქცია შესძინოს თავის თანამდებობას, თუმცა ეს შეუძლებელია თუ არ დავბრუნდებით ისევ საპრეზიდენტო მმართველობაზე, როგორიც იყო მაგალითად შევარდნაძე ან სააკაშვილი, როცა მათი იყო მთავრობა, მათი იყო საგარეო და საშინაო პოლიტიკაც. დღეს, ჩვენ ვართ იმ მოდელის ქვეყანა, როგორებიც არიან მაგალითად ჩეხეთი ან გერმანია, სადაც პრეზიდენტის როლი სიმბოლურია და ის უფრო მეტად მედიატორია ვიდრე პოლიტიკის გამტარებელი თუ შემოქმედი“, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

გარდაბნის გზატკეცილის რეაბილიტაცია გრძელდება

თბილისის მერი დავით ნარმანია, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი გივი კუბლაშვილი და სამგორის რაიონის გამგებელი გიორგი ბაგრატიონი გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთის კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოებს გაეცნენ.

სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის (მონაკვეთის) სარეაბილიტაციო სამუშაოებს თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აწარმოებს. სამუშაოების ფარგლებში, მოეწყობა ახალი, 125-მეტრიანი სანიაღვრე ქსელი, მოხდება 4 კმ-იანი გზის ასფალტის საფარის დემონტაჟი და დაიგება ახალი ორფენიანი საფარი. ასევე გზის მიმდებარედ მოეწყობა მეტრიანი გვერდულები. თბილისის მერის დავით ნარმანიას თქმით, ეს გზა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, რადგან იგი გარდაბნის გზატკეცილს სამგორის რაიონთან აკავშირებს. გზის კაპიტალური რეაბილიტაციისათვის თბილისის მერიის ბიუჯეტიდან 1 561 278 ლარია გამოყოფილი.

პირადობის მოწმობების უფასოდ გაცემის მორიგი აქცია იწყება

10-დან 29 აპრილამდე პირადობის მოწმობების უფასოდ გაცემის მორიგი აქცია იწყება. ახალი პირადობის მოწმობის უფასოდ მიღება შეეძლებათ პირებს 18 წლის ასაკიდან, რომლებიც არ ფლობენ ახალ მოწმობებს და პირველად იღებენ.



აქციის მიზანია ზუსტი საარჩევნო სიის ფორმირება. რაც უფრო მეტი მოქალაქე ფლობს ბიომეტრიულ დოკუმენტს, მით უფრო დაცულია პრინციპი – „ერთი ამომრჩეველი – ერთი ხმა!“ სწორედ ამ მიზნით იუსტიციის სამინისტრომ ბოლო 4 წლის განმავლობაში 24 აქცია გამოაცხადა. შედეგად, 1 200 000-ზე მეტმა მოქალაქემ პირადობის მოწმობა უფასოდ ან შეღავათიანი ფასით მიიღო. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ყველაზე ზუსტი საარჩევნო სია ჰქონდა.

აქციით სარგებლობისთვის მოქალაქეებმა უნდა მიმართონ იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს. აქციის ფარგლებში, დოკუმენტის გაცემისას მოქალაქეები გათავისუფლდებიან ფოტოსურათის გადაღების საფასურისგან.

„მამა გიორგი კი არ შიმშილობს, შეიძლება მან მარხვა გაამკაცრა...“

საპატრიარქოში აცხადებენ, რომ სასულიერო პირისგან მიუღებელია პროტესტის ამგვარი ფორმა რასაც დეკანოზი მამალაძე მიმართავს. კომენტარი მამა გიორგის შიმშილობასთან დაკავშირებით საპატრიარქოს პენიტენციურ სისტემასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა, დეკანოზმა გიორგი თევდორაშვილმა გააკეთა და იმედი გამოთქვა, რომ მამა გიორგი მამალაძემ მარხვა გააძლიერა და არ შიმშილობს:

„ვერც ერთი ადამიანი ვერ მოიძიებს მსგავს პრეცედენტს, რომ რომელიმე ქრისტიანი განსაცდელში ყოფილიყოს და დაეწყოს შიმშილი. პირიქით, შეიძლება მარხვა დაიწყოს მკაცრი. იმედი მაქვს, რომ მამა გიორგის შესახებ ეს ინფორმაცია არ არის ზუსტი და მამა გიორგი კი არ შიმშილობს, შეიძლება მან მარხვა გაამკაცრა...“ – აცხადებს თევდორაშვილი და იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში დაკავებულ დეკანოზს რომელიმე სასულიერო პირი მოინახულებს:

„მე ვიცი, რომ იციან წმინდა სინოდის წევრებმა მამა გიორგის მოთხოვნა და იმედი მაქვს,რომ უახლოეს ხანში მოხდება მისი მონახულება. არ ვიცი მეუფე დიმიტრის აზრი, მაგრამ სასურველი იქნება რა თქმა უნდა, რომ მისმა მღვდელმთავარმა მოინახულოს მის მიერ ხელდასმული სასულიერო პირი საპყრობილეში. და თუ მეუფე დიმიტრი არ მოინახულებს, ალბათ რომელიმე სასულიერო პირი აუცილებლად მოინახულებს“, – აცხადებს საპატრიარქოს პენიტენციურ სისტემასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი.

გურამ რჩეულიშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდა

„ცენტრ პოინტის“ საქმეზე, ე.წ. ბათუმის მაგნოლიას ეპიზოდზე ბრალდებული გურამ რჩეულიშვილი 30-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

რჩეულიშვილის 50-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება გუშინდელ პროცესზე პროკურატურამ ითხოვა. დაცვის მხარე პროკურატურის შუამდგომლობას გირაოს გამოყენების თაობაზე არ დაეთანხმა, თუმცა სასამართლოს სთხოვა, რომ გირაოს თანხა 10 ათასი ლარით განისაზღვროს.

ამასთან, პროკურორებმა გირაოსთან ერთად ბრალდებულისთვის საქართველოს პასპორტის ჩამორთმევაც ითხოვეს, ვინაიდან, როგორც ბრალდების მხარემ განაცხადა, კვლავ არსებობს ბრალდებულის მიმალვის საფრთხე. აღნიშნული შუალმდგომლობა მოსამართლემ დააკმაყოფილა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, გურამ რჩეულიშვილს საქართველოს პასპორტი და პირადობის მოწმობა ჩამოერთვა. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამავე საქმეზე ბრალდებულ მაია რჩეულიშვილს აღკვეთის ღონისძიება გაუუქმდა.

კიდევ ერთი ნაბიჯი უფსკრულისკენ

რა თანხა უდევს საფულეში თამარ კორძაიას?

ყოველგვარი ლიტერატურული თუ დიდაქტიკური შესავლების გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“ დღეს იმ მონადირის მდგომარეობაშია, რომელიც თავისივე დაგებულ მახეში გაება და რაც უფრო მეტად ფართხალებს, მარყუჟი მით უფრო ვიწროვდება.

მახე კი, რომელსაც „რუსთავი-2“ წლების განმავლობაში „წარმატებით“ იყენებდა, არც მეტი, არც ნაკლები, ურცხვი ტყუილი და ცილისწამებაა.

წარსულზე არ ვილაპარაკებ, რადგანაც უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება და ეს მაგალითები ყველას კარგად გვახსოვს. უბრალოდ თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო იმ რამდენიმე მარცხზე, რომლებიც ამ ბოლო დღეების განმავლობაში იწვნია ე.წ. „თავისუფალი სიტყვის ფლაგმანმა“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-მა.

„ვიდრე სტუმრებთან საუბარს დავიწყებდეთ, ერთი განცხადება მინდა გავაკეთო. კვირას, პოსტ სკრიპტუმში გავიდა სიუჟეტი, რომელშიც საუბარი იყო სამშენებლო კომპანიებზე, რომელსაც დავით ნარმანიას ძმა, ირაკლი ნარმანია უწევდა იურიდიულ მომსახურებას“. — ასე დაიწყო 26 მარტის გადაცემა „პოსტ სკრიპტუმი“ წამყვანმა გიორგი გაბუნიამ.

„ჩვენი სიუჟეტი 3 კომპანიის საქმიანობას ეხებოდა, აქედან, „რუსთავი-2“-ის იურისტი ნამდვილად თბილისის მერის ძმაა. მესამე კომპანიის იურისტს ასევე ირაკლი ნარმანია ჰქვია, ოღონდ, აღმოჩნდა, რომ ეს სულ სხვა პიროვნებაა და არანაირი კავშირი არა აქვს დავით ნარმანიასთან“, — განაცხადა გიორგი გაბუნიამ.

...ჩვენი მიზანი ნამდვილად არ ყოფილა ასეთი ცილისწამება, რომელიც ჩვენდა უნებურად გამოგვივიდა, ამიტომ, მე პოსტ სკრიპტუმის სახელით ბოდიშს ვუხდი ხსენებული კომპანიის იურისტ ირაკლი ნარმანიას, ბოდიშს ვუხდი თბილისის მერის ძმას ირაკლი ნარმანიას და ბოდიშს ვუხდი თავად დავით ნარმანიასაც მისი ოჯახის წევრის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელებისთვის“, — განაცხადა გიორგი გაბუნიამ.

როგორც ვხედავთ „თავისუფალი სიტყვის“ ერთგული დამცველი გიორგი გაბუნია აღიარებს, რომ ისინი ვალდებული იყვნენ, უფრო ღრმად გადაემოწმებინათ წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია და რომ მსგავსი შეცდომა დაუშვებელია.

უკაცრავად ბატონო გიორგი, მაგრამ ის რაც თქვენ ჩაიდინეთ და სჩადიხართ, „შეცდომა“ კი არა, დანაშაულია! და თქვენ იმდენჯერ „შეცდით“, რამდენჯერაც სადგურის მეძავებიც კი არ „შემცდარან“.

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გადაცემა „კურიერ PS-ის“ წამყვანმა გიორგი გაბუნიამ დაარღვია ქარტიის პირველი (სიზუსტე) და მეშვიდე (დისკრიმინაცია) პრინციპი, ხოლო სადავო სიუჟეტის ავტორმა მაია ლომიძემ მესამე (ფაქტის მიჩქმალვა) პრინციპი.

განმცხადებელი, თბილისის მერი დავით ნარმანია, სადავოდ ხდიდა 2017 წლის 12 თებერვალს გადაცემა P.S.-ის იმ სიუჟეტს, სადაც საუბარი იყო თბილისში საზოგადოებრივი საპირფარეშოების თემაზე, განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ მასალა არაზუსტ ფაქტებს შეიცავდა და გარდა პირველი, მეშვიდე და მესამე პრინციპისა, დარღვეული იყო მე-11 (ფაქტის განზრახ დამახინჯება) პრინციპიც, თუმცა საბჭომ მე-11 პრინციპის დარღვევა არ დაადგინა.

საქმის განხილვას ესწრებოდა მხოლოდ განმცხადებლის წარმომადგენელი, მოპასუხე ჟურნალისტები სხდომას არ დასწრებიან და საკუთარი პოზიცია არც წერილობით წარმოუდგენიათ“.

ამ დასკვნით საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭომ პირდაპირ განაცხადა, რომ ეს გადაცემა არღვევს ჟურნალისტური ქარტიის იმ უმთავრეს პრინციპებს, რაც სიზუსტეს, დისკრიმინაციას, ფაქტების მიჩქმალვასა და განზრახ დამახინჯებას ეხება.

სამწუხაროდ, ეს ორი მაგალითი გაკვეთილად არ გამოგადგათ და გადაცემა P.S.-ის 2 აპრილის სიუჟეტში, რომელიც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში მაღალჩინოსნების, კერძოდ ეკა ბესელიასა და ირაკლი შოთაძის ოჯახის წევრების დასაქმებას ეხებოდა, კვლავ დაარღვიეთ ქარტიის პირველი, მესამე და მეშვიდე პუნქტები.

გადაცემის პათოსიდან გამომდინარე, გაისმა მესიჯი, რომ მაღალჩინოსნის დას, ან ნათესავს არა აქვს უფლება სადმე იმუშაოს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, მიიღოს ანაზღაურება. არა აქვს უფლება იმიტომ, რომ ის რომელიმე ჩინოსნის ნათესავია. **ეს კი აშკარა დისკრიმინაციაა.**

საოცარია, მაგრამ სიუჟეტის ავტორებს „დაავიწყდათ“, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ქალაქ თბილისის მაშინდელმა მერმა გიგი უგულავამ ფართოდ გაუღო კარი კადრს მიღმა დარჩენილ ნაციონალებს.

მერიის დაქვემდებარებაში მყოფ შპს-ებისთვის — „სინათლის ქალაქი“, „ჰერმესი“, თბილსერვისისა“ და „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოები, სადაც დაინიშნენ ყოფილი პარლამენტარები, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და მათი ოჯახის წევრები. სულ 36 ადამიანი დასაქმდა და ყოველ მათგანს ხელფასი 2500 ლარი ჰქონდა.

შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოში იყვნენ კობა ხაბაზი და ლადო ვარძელაშვილი. „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოში კი — გიორგი ასანიძე, აკაკი სეფერთელაძე, გიგა ნასარიძე, ლევან თარხნიშვილი, ხათუნა ოჩიაური, რუსუდან კერვალიშვილი, ხოლო „თბილსერვის ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოში — ეკა ხერხეულიძე, ბადრი ბასიშვილი და დავით იოსელიანი.

რა გარე განათების სპეციალისტები იყვნენ კობა ხაბაზი და ლადო ვარძელაშვილი, ან „თბილსერვის ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოში მყოფი ეკა ხერხეულიძე დასუფთავების სპეციალისტი როდიდან გახდა? მაგრამ ეს შეკითხვები „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიას“ მაშინ ერთხელაც არ დაუსვამს.

რაც შეეხება იმ სახედაფარულ ქალბატონს, რომელიც, სავარაუდოდ, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ყოფილი მაღალჩინოსანია, მის მიმართ ერთი მარტივი შეკითხვა გამიჩნდა: — აქამდე სად იყავით? რატომ მაშინ არ აღშფოთდით, როცა ბესელია და შოთაძე თქვენს კომპანიაზე ზეწოლას ახდენდნენ თავიანთი ნათესავების დასაქმების მიზნით და თუ ის ადამიანები ცუდი სპეციალისტები იყვნენ, რატომ არ გაათავისუფლეთ ისინი?

წერილი დამთავრებული მქონდა, მაგრამ თავისუფალი სიტყვისა და ჟურნალისტური საქმიანობის „ფლაგმანმა“ პანდორას ყუთმა საზოგადოების სტრესში ჩაგდების მორიგი კამპანია წამოიწყო. სხვადასხვა გადაცემებიდან გრძელდება იმ აზრის მუსირება, რომ საქართველოში კრიმინალმა იმატა და რომ პარლამენტის ყოფილი წევრი თამარ კორძაია ქუჩაში კი დასეირნობს თავისუფლად, მაგრამ **„საფულეს ძალიან უფრთხილდება“.**

ძალიან უცნაური ფრაზები გაისმა კრიმინალის ზრდასთან დაკავშირებულ ე.წ. „დებატებში“, რომელიც გასულ სამშაბათს, ისევ და ისევ ჯულიეტოვნამ მოაწყო. ნაცების მომხრეები „ამტკიცებენ“, რომ მათ დროს ავტომობილებს არ კეტავდნენ, არ ხდებოდა ძარცვა, ყაჩაღობა დ.ა.შ.

უკაცრავად მაგრამ როდესაც დედაქალაქის მერი **გიგი უგულავა** რამდენიმე ათეულ მილიონს იპარავს, კრიმინალი არ არის?, როდესაც დაპატიმრებულებს ძალადობით ართმევენ ქონებას, კრიმინალი არ არის? როდესაც შსს მინისტრი გვამებს ითხოვს, კრიმინალი არ არის და უმთავრესი: — მათი სულიერი მამის და ბელადის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიმართ, სხვადასხვა დანაშაულების გამო ძებნის ღონისძიება ხორციელდება — დი-ი-დი კრიმინალი არ არის!..

ჰოდა ახლა დავფიქრდეთ — გაზრდილია კრიმინალი თუ შემცირებული?!

აღარ გამოგდით ვიგინდარა ნაციონალო ცილისმწამებლებო ტალახის სროლა. აღარ გამოგდით და პირიქით, თქვენს მიერ ნასროლი ტალახი, ისევ თქვენ გიბრუნდებათ და ჯერჯერობით იშვიათად, მაგრამ ბოდიშების მოხდა მაინც გიწევთ!

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთვის ამ უსიამოვნო პროცედურის გავლა კიდევ ბევრჯერ მოგიწევთ.

გია გაბრიჭიძე

◎ დედაქალაქი

კოპწია ფილები დალეწილი ასფალტის სანაცვლოდ

ხალისიან გაზაფხულს ნამდვილად უხდება ის გალამაზება-გაკოხტავება, რომელსაც ბოლო დღეებია თბილისის ცენტრი განიცდის.

გარემოვაჭრეების ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცევის ღონისძიებებს ქუჩების სისუფთავეზე ზრუნვაც მიემატა, რაც დედაქალაქს უდავოდ მოუხდება. ბევრ უბანს კი ნამდვილად არ აწყენს იმის მსგავსი გაკოპწიავება, აკაკი წერეთლის პროსპექტის დასაწყისში

ბაღის მიმდებარედ ტროტუარს რომ ჩაუტარდა: ახლახანს აქ, წლების მანძილზე „ნაიარევი“ ასფალტის საფარი კოხტა ფილებით შეიცვალა და აქაურობა გაცილებით ხალისიანი გახადა.

მერიის ასეთი მოქმედება კიდევ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იქაურ სურსათით გარემომოვაჭრეებს „დეზერტირების“ ბაზრის ტერიტორიაზე მიუჩინეს კომფორტული ადგილები, სადაც ისინი შეღავათით ისარგებლებენ — პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში გადასახადისგან გათავისუფლდებიან. იგივე პირობით გადაიყვანეს მეორადი ტანსაცმლითა და საყოფაცხოვრებო საქონლით გარემოვაჭრეები სადგურის მოედნის მიწისქვეშა ბაზრობაზე, სადაც მათთვის საგანგებოდ მოეწყო ახალი დახლები.

ლალი ხუნდაძე,

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

გარევაჭრობისთვის განკუთვნილი კონსტრუქციები აბასთუმნის ქუჩიდანაც აიღეს

თბილისის ცენტრალური სადგურის მიმდებარე ტერიტორიასა და აბასთუმნის ქუჩაზე მყოფი გარემოვაჭრეები „დეზერტირების“ ბაზარში შევიდნენ. 150-მდე გარემოვაჭრე საქმიანობას 6 აპრილიდან აღნიშნული ბაზრის ტერიტორიაზე განაგრძობს. **„თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენლებმა ტერიტორია სპეციალური ტექნიკის დახმარებით დაასუფთავეს“,** — ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აპროტესტებენ „ართანაჰესის“ მშენებლობას

სოფელ ართანის მცხოვრებლები „ართანაჰესის“ მშენებლობას აპროტესტებენ. თელავის საკრებულოში გუშინ აღნიშნული საკითხის საჯარო განხილვა მიმდინარეობდა, სადაც მოსახლეობამ ჰესის მშენებლობაზე უარი განაცხადა და ამის მიზეზად ეკოლოგიური კატასტროფა დაასახელა.

კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჰესის შენებლობის პარალელურად დაგეგმილია სხვადასხვა პროექტების განხორციელება, რომელიც სოფლად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურის განვითარებას ითვალისწინებს. კომპანია პირობას დებს, რომ ჰესის მშენებლობის შემთხვევაში მოხდება სოფელში ახალი ამბულატორიის აშენება, სანიაღვრე არხების მოწყობა და ათობით ადგილობრივების დასაქმება.

„ოცნების“ დაპირებები ჯერჯერობით ოცნებად რჩება!..

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთი საპირველაპრილო ჟურნალისტური ფანდის გამო

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ 1 აპრილის ნომერში პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ბიძინა ივანიშვილის მიმართვა ამომრჩევლისადმი სათაურით: **„თუ რასაც გავცემ, მაინც ჩემია, კი ბატონო, ქართველი ხალხისთვის მე არაფერი მენანება!“**

მიმართვაში ლაკონურადაა გადმოცემული „ოცნების“ მოღვაწეობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებიდან დღემდე პერიოდი. არის თვითკრიტიკაც, თუმცა მკითხველის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, მიიქცევს მასში გაჟღერებული დაპირება, რომელიც მადლიერების გრძნობას აღძრავს არა მხოლოდ ამომრჩეველში, არამედ საქართველოს თითოეულ მცხოვრებში.

„ჩემს ოჯახთან ერთად, ჩემი გულის კარნახით გადავწყვიტე, რომ ჩემი ამჟამინდელი შესაძლებლობით ხორცი შევასხა ჩვენი დიდი წინაპრის შეგონებას: რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია. ეს, ჩემი გადაწყვეტილება კი ასეთია — წლეულსვე, პირველი ივნისიდან, საქართველოს მოსახლეობისთვის ორი წლით განახევრდეს კომუნალური გადასახადები, ხოლო 2018 წლის პირველი იანვრიდან — პენსია გაიზარდოს 60 ლარით. იმედია, ორი წლის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა ისეთ ზღვარს მიაღწევს, რომ მე აღარ დამჭირდება ქველმოქმედების გაგრძელება.“

თვალებს არ დავუჯერე. კიდევ ერთხელ წავიკითხე გულმოდგინედ და დიდის ყურადღებით. არადა, პირველმა აპრილმა ეჭვი აღმიძრა, ხუმრობა არ იყოს-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მიმართვა ხომ „ყვითელ პრესაში“ არ დაბეჭდილა?! ის სოლიდურმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა. ამან დამაიმედა, სხვა თვალით შემახედა ყოფილი პრემიერ-მინისტრის სიტყვებისთვის, თუმცა გონებაში კვლავ პირველ აპრილზე ფიქრი მიტრიალებდა და არ მაძლევდა დამშვიდების საშუალებას.

მართალიც აღმოვჩნდი, თუმცა ბიძინასეულად გასაღებულმა „საქართველოს რესპუბლიკის“ შემოქმედებამ, მიბიძგა ჩემი მოსაზრების მკითხველისთვის გაცნობისკენ. „ბატონი ბიძინა“ ჩვეული გულმოდგინებით იცავს „ქართულ ოცნებას“ და აღნიშნავს: „ამ ოთხი თუ ხუთი წლის მანძილზე გულხელდაკრეფილი არ ვყოფილვართ. არც დაპირებულის შესრულება დაგვვიწყნია ერთი წამით. არადა, სწორედ ამას გვაბრალებენ ჩვენი არაკეთილმოსურნენი“.

დიახ, ამ ოთხი წლის განმავლობაში, რაღაც გაკეთდა, მაგრამ მცირედი იმ დაპირებებიდან, რომელიც ესოდენ უხვად დარიგდა წინასაარჩევნო პერიოდში. წლების მიხედვით წარმოდგენილ, ამომრჩეველთა კეთილდღეობის პროგრამას, კულმინაციისთვის 2016 წლის არჩევნების წინ უნდა მიეღწია, მაგრამ... დაპირებები, რომელიც სერიოზულ და მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვდა, ხალხისთვის აუხდენელ ოცნებად დარჩა...

მსგავსი დაპირებები უხვად გაჟღერებულა, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, სხვადასხვა პარტიისა თუ ხელისუფლების მიერ და რა გასაკვირია, რომ საზოგადოება მიეჩვია პოლიტიკოსების მხრიდან მათ შეუსრულებლობას.

პოლიტიკოსები ყოველთვის მანიპულირებენ ხალხის მძიმე სოციალური მდგომარეობით. ასე მოხდა ახლაც, პარტიებმა უმალ აიტაცეს ხალხის სურვილი და საარჩევნოდ ხმების ისეთი კრეფა გააჩაღეს, უნებურად, ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი, სახელგანთქმული გურული მეჩაიეები გამახსენდა. ამას ჰქვია პარტიისა და ხალხის „ერთსულოვნება“, დღევანდელი კვერცხის ხვალინდელ ქათამზე გაცვლა. სწორედ ასეთი ერთსულოვნების შედეგია 20-30 ლარად გაყიდული ხმები, მასთან ერთად კი ამომრჩევლის სინდის-ნამუსიცა და ქვეყნის მომავალიც.

მაგრამ 2012 წლის არჩევნები სხვა იყო. „ნაციონალების“ მიერ უკიდურესად გამწარებულმა ხალხმა, ბიზნესმენისა და ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, ამბოხი მოუწყო ტირანულ რეჟიმს. მილიარდელის ავტორიტეტმა და მისმა გახმაურებულმა, კეთილშობილურმა საქმიანობამ ქართველ ხალხს უკეთესი, ნათელი მომავლის იმედი ჩაუნერგა. ამომრჩევლისთვის ბიძინა ივანიშვილისა და მის მიერ დაფუძნებული „ქართული ოცნების“ ნებისმიერი დაპირება, რაოდენ ილუზორულიც არ უნდა ყოფილიყო, რეალობად აღიქმებოდა.

ხალხს იმედი ჰქონდა, რომ ჩამოთვლილი მრავალი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დაპირებებიდან ყველა თუ არა, ნაწილი მაინც შესრულდებოდა, აი, ისეთი, დიდი ტვინის ჭყლეტა, წელებზე ფეხის დადგმა, ბიუჯეტის თანხების აკუმულირება და საკუთარი ფულის ხარჯვა რომ არ სჭირდებოდა.

განა რა პრობლემასთან იყო დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტზე შემოსკუპული საჯარო მოხელეებისთვის მამაშვილური დარიგების მიცემა, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, უარი ეთქვათ ისედაც უზარმაზარ ხელფასებზე დანამატებისა და პრემიების მიღებაზე; ვეებერთელა, შავი, ძვირად ღირებული, პერსონალური „ჯიპებით“ სარგებლობაზე; საზღვარგარეთის ქვეყნებში გაუთავებელ, უმიზნო და როგორც წესი, არაფრისმომცემ მოგზაურობებზე; პირადი სარგებლობისთვის სუპერთანამედროვე და ასევე ძვირფასი მობილური ტელეფონებისა და პლანშეტების შეძენაზე. სამუშაო კაბინეტების რემონტზე თუ ახალთახალი ავეჯით მოწყობაზე და სხვა.

იყო თუ არა იოლი „ოცნების“ შემქმნელისთვის, თავისი გუნდის წევრებისთვის მსგავსი დარიგების მიცემა? ცხადია იყო, მაგრამ... ანდა — ერთხელ მაინც, ქალაქის მერის, ბატონი ნარმანიას, მკაცრი გაფრთხილება, საქალაქო პრობლემების მოგვარების მიზნით?! დაშავდებოდა რამე?! პირიქით, რაღაც მაინც დაეტყობოდა ქალაქს, რომელიც უდავოდ ტოვებს უპატრონოს შთაბეჭდილებას. ნარმანიას ის მაინც ხომ შეეძლო საცობების განტვირთვის მიზნით, დისტრიბუციის, დასუფთავების, კომუნიკაციებისა და კეთილმოწყობის სამსახურებისთვის ღამის საათებში დაევალებინა მუშაობა.

ქალაქის მერს ხელში ცოცხი უნდა ეჭიროს და ქუჩას გვიდეს, ცხადია, გადატანითი მნიშვნელობით. მან ყოველ კუთხე-კუნჭულში უნდა შეიხედოს, ხშირად ფეხითაც იაროს და თავის ქვეშევრდომებს ადგილზე მისცეს მითითებები. მე, თბილისელს ასეთ თბილისში მიცხოვრია, ასეთი თავკაცობა მახსოვს. თბილისის მერები ანუ აღმასკომის თავმჯდომარეები და მათი დაქვემდებარების სამსახურების ხელმძღვანელები ყოველთვის იქ იყვნენ, სადაც საჭიროება მოითხოვდა. მათი მითითება, საქმის ცოდნით გამაგრებული, პრობლემის გადაჭრის გარანტია იყო. მათ არც საქალაქო აღმასკომზე გამოსვლის ეშინოდათ და არც პასუხისმგებლობის აღების.

დღეს კი რას ვხედავთ? თბილისის საკრებულო რა ხანია, სთხოვს ქალაქის მერს თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში მისვლას და დაგროვილ კითხვებზე პასუხის გაცემას. ის კი თავისი კაბინეტიდან უკმეხად აცხადებს — მე ქალაქში საქმე მაქვს გასაკეთებელი და თქვენთან უქმად ლაპარაკში დროს ვერ დავხარჯავო. არადა, საკმარისია უცხოეთის რომელიმე ქალაქში რაღაც მეათეხარისხოვანი ღონისძიება გაიმართოს, რომ ჩვენი მერიც იქ გაჩნდება. „ლურჯი ავტობუსების“ ჩამოსაყვანად ნარმანია პოლონეთის ავტოქარხანასაც კი ეწვია, ეს კი, ჩემი აზრით, მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ დამამზადებელი კომპანია უფასოდ შეასრულებდა შეკვეთას.

მე, როგორც მშენებელს, უდავოდ მაფიქრებს ჩვენს ქალაქში გაჩაღებული თავბრუდამხვევი ბინათმშენებლობა, თანაც უგეგმო და ქაოტური. აღარაფერს ვამბობ შენობა-ნაგებობების მდგრადობაზე, ხარისხზე და სხვა სამშენებლო პარამეტრებზე, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ და რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. აღნიშნულის თაობაზე სისტემატურად, წლების განმავლობაში გაჰყვირის ანზორ საკანდელიძე, მაგრამ უსმენს მას ვინმე? არც არავინ... არადა, ერთხელ მაინც ხომ უნდა დაინტერესებულიყო მერი ნარმანია ამ ამბით?

მოსწრებულად თქვა ჩემმა ახლობელმა — ეგ მერი კი არა, ფათუშააო. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ეს მერიც ანუ ფათუშაც ბიძინას რეკომენდაციითაა გამერეწულ-გაფათუშებული. რამდენი სხვა ფათუშებია ხელისუფლებაში, ვინ მოთვლის — გუგული მაღრაძე და არა მხოლოდ. ნაცვლად საზრიანი და გონივრული მოქმედებისა, ისინი ისეთ წინადადებებს გვტყორცნიან, ყვავს რომ ხიდან ჩამოაგდებს.

ყვავის რა მოგახსენოთ და ქალაქელები კი ჩამოგვყარა მთავრობის მიერ გაჟღერებულმა მორიგმა ახალმა ამბავმა. სხვა რა უნდა ითქვას „სამთავრობო ქალაქის“ მშენებლობის იდეაზე?! მართალი გითხრათ, ეს წინადადებაც საპირველაპრილო ხუმრობა მეგონებოდა, მაგრამ აპრილამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი და სხვა რა გზა მქონდა, დავიჯერე. გარდა ამისა, პრემიერის ნათქვამი ისე დაიჭირა ჰაერში მისმა ინფრასტრუქტურის მინისტრმა და ისეთი ქება-დიდება შეასხა, თითქოს ამით თბილისის დამშეულ მოსახლეობას ეშველებოდა რამე ან მართლა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმის კეთება წამოეწყოთ.

თავის გასასამართლებლად რა არგუმენტები შემოგვთავაზეს? — სამინისტროები და უწყებები, რომელებიც ძველ შენობებსა და ქალაქის ცენტრშია განთავსებული, ახალ შენობებში გადავლენ, ძველს კი — სასტუმროებისთვის გამოვიყენებთო.

ხელისუფლებას ისეთი სურათის შექმნა სურს, თითქოს საქართველოს საზღვრებზე უცხოელი ტურისტების დიდი რიგი იდგეს. დღესდღეობით თბილისში იმაზე მეტი სასტუმრო მოქმედებს, ვიდრე საჭიროა. ისევე როგორც სხვა დანარჩენში, გონივრული გათვლა არც ტურიზმის სფეროშია. რამდენი ძველი „ნასამინისტრალი“ შენობაა მიტოვებულ-გაპარტახებული. სააკაშვილის სურვილის თანახმად, იქ რახანია, „ხუთვარსკვლავიანი“ ცხოვრება უნდა ჩქეფდეს — ფულიანი არაბი შეიხებით, ევროპელ-ამერიკელი ბიზნესმენებით ან ხაჭაპურების „მოყვარული“ ჩინელ-იაპონელი მდიდარი ტურისტებით. მსგავსი იდილია, რომელსაც სააკაშვილი გვიხატავდა, ისეთივე აბსტრაქციაა, როგორც თბილისის მსოფლიო ტურისტულ მექად წარმოჩენა.

„სამთავრობო“ და „საუნივერსიტეტო ქალაქების“ მშენებლობა მხოლოდ იმ ქვეყნების ხვედრია, რომელთა ბიუჯეტი თავისუფლად აიტანს ამხელა ხარჯს. საქართველოს ერთობ მოკრძალებული და მუდამ შეუსრულებლობის პირას მყოფი ბიუჯეტი კი, არ იძლევა ასეთი გრანდიოზული მშენებლობის შესაძლებლობას, რაც კარგად უნდა მოეხსენებოდეს, პირველ რიგში, ხელისუფლებას.

ამას წინათ, ერთ-ერთ რადიოში ჟურნალისტი მოსახლეობის გამოკითხვას ატარებდა სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით. 30-ზე მეტი რესპონდენტიდან თითქმის ყველამ უშვერი სიტყვებით ლანძღა ხელისუფლება ამ უაზრო, უპასუხისმგებლო და ლოგიკას მოკლებული წინადადებებისთვის. თითოეული მათგანი აცხადებდა — ესენი სხვა პლანეტიდან ხომ არ ჩამოფრენილან, აქაური პრობლემები რომ არ იციან, რა დროს ამგვარი ქალაქების მშენებლობაა, როცა მოქალაქეები შიმშილით სულს ღაფავენო. არის თუ არა ხალხის აზრი გასათვალისწინებელი? უდავოდ არის, მაგრამ არჩევნებამდე 4 წელია დარჩენილი და მათ აზრს ჩათვლის ჯერ ვინმე ყურადღების ღირსად?!

ასე რომ, ელოდეთ ახალი ქალაქების მშენებლობას თავისი „სიკეთეებით“. არ არის დაპირებული საწარმოები, სადაც ხალხი დასაქმდებოდა და ისეთი პირი უჩანს — არც იქნება. სამაგიეროდ გვექნება „სამთავრობო“ და „საუნივერსიტეტო ქალაქები“. განა ყაზახებზე ნაკლებები ვართ?!

ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ახალი თანამედროვე, შესანიშნავი დედაქალაქი ააშენა, დეტალურად გათვლილი ინფრასტრუქტურითა და საკომუნიკაციო სისტემით. ყაზახეთი მდიდარი ქვეყანაა. ყოფილ საბჭოთა სივრცეში, რუსეთის ჩათვლით, საშუალო პენსია ისევე, როგორც საშუალო ხელფასი, ყველაზე მაღალი სწორედ ამ ქვეყანაშია. მათი ბიუჯეტიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, ყაზახეთს მიეცა ფუფუნების უფლება, რასაც ვერაფრით ვიტყვით ჩვენს ქვეყანაზე.

რომელი „სამთავრობო“ და „საუნივერსიტეტო ქალაქების“ აშენებაზე ლაპარაკობს ხელისუფლება, როდესაც ქალაქელთა ელემენტარული მოთხოვნებიც კი ვერ დაუკმაყოფილებია უსახსრობის მოტივით. რა მაქვს მხედველობაში? — დაუმთავრებელი ორი წაგრძელებული, ლიტონის კონსტრუქცია, ძველი ქალაქის გული რომ გადაფარა. ამ არქიტექტურული „შედევრის“ დემონტაჟზე ქალაქის მერმა ბრძანა, ვერ ავიღებთ, ძვირი დაგვიჯდებაო. მათ არც აღმაშენებლის ძეგლის ძველ ადგილას დბრუნებაზე უფიქრიათ, არადა, რახანია თბილისელები მოითხოვენ ამას — გაიტანეთ ველოსიპედი და დააბრუნეთ დავითიო! პასუხად ისევ უსახსრობას იმიზეზებენ, მაშინ საინტერესოა, საიდან გაჩნდება ბიუჯეტში „ახალი ქალაქების“ ასაშენებელი ფული?!

სიტყვა გამიგრძელდა, ოცნებამ გამიტაცა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. „საქართველოს რესპუბლიკამ“ რომ იოცნება საპირველაპრილოდ და თავისი ოცნება ბიძინასეულად მოგვასაღა, ეს ერთგვარი ჟურნალისტური ფანდი იყო, მიზნის მისაღწევად, მავანის გამოსაფხიზლებლად. მიზანი კი ივანიშვილია — ქველმოქმედებით ცნობილი პიროვნება, რომელსაც უამრავი საქმით დატვირთულს, ალბათ, ხანდახან თავის შეხსენებაც სჭირდება.

ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲔᲪᲜᲝᲑᲝᲓᲐ „ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ“ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲨᲘᲪ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚ „ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲡ“ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. ᲔᲡᲔᲪ ᲮᲝᲛ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ?!

ᲝᲛᲐᲠ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პროფესორი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი.

დიდი პედიატრის დაუვიწყარი ცხოვრება

...ძუცო და ლენა ინსტიტუტში ერთ ჯგუფში სწავლობდნენ, ისე, რომ მათი ურთიერთობა დაიწყო 40-იანი წლების მე-2 ნახევარში. მოგვიანებით ორი ახალგაზრდა - მომავალი ექიმები — ულამაზესი ელენე მანჯგალაძე და ვაჟკაცი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე გამიჯნურდნენ.

ლამაზი რომანი, სეირნობა, თბილისის ქუჩები....

სწავლის დასრულების შემდეგ, ელენე სოხუმში გაანაწილეს სამუშაოდ. ავთანდილი ჯერ თბილისშია, სამინისტროს საკადრო სკივრის რიგითობის შესაბამისად, ელოდება სამუშაო ადგილს.

ამასობაში სოხუმიდან აცნობეს „ძმებმა“ — ამ ულამაზესმა ელენემ მოხიბლა მთელი აფხაზეთიო, არა, ჩვენ მას არავის დავანებებთ,მაგრამ მაინც იჩქარეო... ელვის სისწრაფით ქუცო (ავთანდილის შინაურული სახელი) ჩადის სოხუმში, ხელს აწერენ და 25-კაციან პატარა ქორწილს იხდიან, სუფრას ოთარ ლითანიშვილი უძღვება, თბილისში საახლობლო საქორწილო სუფრას კი ოჯახის ნათესავი ეროსი მანჯგალაძე გაუძღვა.

ქუცომ და ლენამ პირველი ოჯახური გადაწყვეტილება მიიღეს - სოხუმში მიდიან სამუშაოდ.

ქუცო სოხუმში კიდევ იმიტომ გაანაწილეს, რომ კალათბურთში აფხაზეთის ნაკრებს დახმარება სჭირდებოდა. მას გუნდიდან მოწვევა ჰქონდა.

სოხუმში ქუცო მუშაობას იწყებს ჩვილ ბავშვთა სახლში, სადაც იმჟამად სიტუაცია საგანგაშო იყო ჩვილთა სიკვდილიანობის ძალზე მაღალი მაჩვენებლის გამო. ქუცოსა და მისი კოლეგების დაუღალავმა, თავდადებულმა შრომამ შედეგი გამოიღო — მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა. ამ გარემოებას საგანგებოდ აკვირდებოდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო სამინისტროებში, მალევე ჩამოვიდა საკავშირო სამინისტროდან შემმოწმებელთა ჯგუფი, რომლის წევრებიც სასტუმროში კი არ დაბინავებულან, არამედ სრული შემადგენლობით, კლინიკაში განთავსდნენ, რათა 24-საათიანი მონიტორინგი გაეწიათ ექიმთა და დამხმარე სამედიცინო პერსონალის საქმიანობისათვის. შემოწმება დასრულდა მკვეთრად დადებითი დასკვნით, რასაც საკავშირო სამინისტროს მიერ ავთანდილ კვეზერელი-კოპაძისთვის სიგელისა და ჯილდოს გადაცემა მოჰყვა.

ასე დაიწყო ქუცოს გზა პედიატრიაში — სამი წელი (1954-1957) საკავშირო პედიატრიის ინსტიტუტში, შემდეგ გახდა სოხუმის მთავარი პედიატრი, აფხაზეთის მთავარი პედიატრი და 60-იანი წლების დასასრულისთვის გადმოვიდა თბილისში პედიატრიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

ასე ჩაეყარა საფუძველი ამ ახალგაზრდა მედიკოსთა ოჯახს სოხუმში. ქალბატონი ელენე ჩამოყალიბდა უმაღლესი კვალიფიკაციის, უძლიერეს პედიატრ-კლინიცისტად და გაითქვა სახელი, როგორც აფხაზეთში, ასევე თბილისში მოღვაწეობისას. მათ გაუჩნდათ ორი ქალიშვილი - მარინე და მაია. მათი ცხოვრება აღსავსეა როგორც დაუღალავი შრომით, ასევე უმწიკვლო, ზნემაღალი, მეგობრული ურთიერთობებით.იმჟამად ჩამოყალიბდა ფართო და მჭიდრო სამეგობრო წრე, რომელიც მთელი ცხოვრება გაჰყვა ამ ოჯახს და დღეისათვის, უკვე ნათესაობაში გადაზრდილი, სამი თაობის ხალას მეგობრობად იქცა. აი, არასრული ჩამონათვალი ამ პიროვნებებისა და ოჯახებისა: თენგიზ და ნანა მაჭარაშვილები, ოთარ ლითანიშვილი, სოკრატ არშბა, ზურაბ თავართქილაძე, ირაკლი(კოჭიკო) ანთელავა, ქეთო ანჯაფარიძე, მიშა ახალაია და ქეთო ხაჟომია (ანუ „ხაჟო“, ქუცოს შერქმეული მეტსახელი), ვალერიან და ლენა გვალიები, ლამარა და გურამ შუბლაძეები, ნანული ლეჟავა,მერი კოტარია, ბორის და ამალია გაბუნიები,ლუბა ცაავა, შოთა ღურცკაია, პლატონ და თამრიკო საღარეიშვილები, თათუშა კერესელიძე, ელგუჯა მირესაშვილი.

ეს ლამაზი ადამიანები შემდგომში მთელი ცხოვრება იხსენებდნენ სოხუმში ერთად გატარებულ, ახალგაზრდობის დაუვიწყარ წლებსა და მუდმივად ურთიერთობდნენ, როგორც თბილისში, ასევე სოხუმში.

1992-1993 წლებში განსაცდელის ჟამი დადგა და აქ ჩამოთვლილ სოხუმის მკვიდრ ბატონთა და ქალბატონთა ნაწილი აღმოჩნდა თბილისში. დაიწყო სრულიად სხვა, განსხვავებული ცხოვრება, როგორც ქვეყნისა მთლიანად, ასევე მასში მცხოვრები ადამიანებისათვის.

ჩემი ლექსიკონი ნამდვილად ღარიბია იმისათვის, რომ ჯეროვნად გადმოვცე იმ სითბოს, სიყვარულის და თანადგომის მასშტაბი, რომლითაც „კვეზერლების ოჯახი“ დახვდა, მოეფერა, გვერდში დაუდგა თავის სოხუმელ ძმებს და დებს. ეს პრაქტიკულად დღემდე გრძელდება, მაგრამ არსებითია ის, რომ ეს ხდება ჩუმად, უხმაუროდ, თბილად, ტაქტიანად, დელიკატურად, გულწრფელად და გულიანად.

სწორედ ამ პირობებში გამოვლინდა მშვიდი, მაგრამ ძლიერი, ტალღისებური შემართება ამ ორი დიდბუნებოვანი ადამიანისა — ქუცოსი და ლენასი და მათი დიდი ოჯახის - შვილების, სიძეების, შვილიშვილების — თითოეულის ცალ-ცალკე და ყველასი ერთად.

სრული კატეგორიულობით ვაცხადებ, ჩემი ლექსიკონი ნამდვილად ღარიბია იმისათვის, რომ ჯეროვნად გადმოვცე იმ სითბოს, სიყვარულის და თანადგომის მასშტაბი, რომლითაც „კვეზერლების ოჯახი“ დახვდა, მოეფერა, გვერდში დაუდგა თავის სოხუმელ ძმებს და დებს. ეს პრაქტიკულად დღემდე გრძელდება, მაგრამ არსებითია ის, რომ ეს ხდება ჩუმად, უხმაუროდ, თბილად, ტაქტიანად, დელიკატურად, გულწრფელად და გულიანად.

ეს წერილი არის ცნობა — დასტური ამ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ამ ოჯახის მიერ გაღებული ძალზე დიდი სიკეთისა და სიყვარულისა, „სოხუმური“ მიმართულებით, რაც ამ ოჯახის პროფესიული და ადამიანური ურთიერთობების მხოლოდ ერთი ნაწილია.

1993 წლის შემოდგომიდან, „კვეზერლების ოჯახში“ დაწესდა სოხუმელების საკვირაო შეკრებები. ყოველ კვირა დღეს, იკრიბებოდნენ ქუცოსა და ლენასთან — თბილისში მყოფთაგან ქეთო ანჯაფარიძე და ნანული ლეჟავა, სოხუმის მკვიდრთაგან - მიშა ახალაია, ქეთო ხაჟომია („ხაჟო“), ლენა გვალია (ბ-ნი ვალერიანი, სამწუხაროდ, უფრო ადრე გარდაიცვალა), ლამარა შუბლაძე, თათუშა კერესელიძე, შოთა ღურცკაია...

ქუცოს და მიშას კვირა დღე იწყებოდა გოგირდის აბანოებითა და მექისით, შემდეგ მრავალსაათიანი საჭადრაკო ტურნირით გრძელდებოდა, რომელიც მუდმივად მათი მეგობრული დავიდარაბითა და ჩხუბით მთავრდებოდა. ამას მოჰყვებოდა ვახშამში გადაზრდილი სადილი, იუმორი, მოგონებები, კიდევ იუმორი...

წლები მიდიოდა და ამ „სოხუმურ კუტოკს“ თანდათან აკლდებოდნენ ძვირფასი ადამიანები...

წელს ქუცოს და ლენას ერთად ცხოვრების 68 წელი შეუსრულდათ. ლენა ყოველთვის და ყველაფერში იყო ქუცოს მთავარი „მუზა“ და, როგორც თავად არაერთხელ უთქვამს, მისი მიღწევების ძირითადი სულისჩამდგმელი. თებერვლის ბოლოს ქუცო იწვა — ვერ იყო კარგად, ლენამ ხელზე აკოცა და გამოემშვიდობა...

მე ორივეს ვიცნობ, უკვე 60 წელია და ქუცო ბიძიას და ლენა დეიდას ვეძახი, როგორც უფროსი ქალიშვილის მარინას კლასელი, 38 წელია, როგორც უახლოესი მეგობრების - მიშას და ქეთოს სიძე, ლენა დეიდასთვის ვარ მისი საყვარელი ნათლულის — მარინას მეუღლე. ამ ყველაფერთან ერთად, უკანასკნელ წლებში, ქუცო ბიძიასთან ჩემმა ურთიერთობამ თავისთავად, ბუნებრივად მეგობრული ხასიათი მიიღო.

2015 წლის აპრილში ქუცო ბიძიას 90 წლის თარიღთან დაკავშირებით, სადღესასწაულო ღონისძიებები გაიმართა — სამეცნიერო სესია, კონფერენცია და დიდი ნადიმი, რომლებშიც ვერ მივიღე მონაწილეობა (ოპერაციის შემდგომი გართულების გამო შინ ყოფნის მიზეზით). ამ საზეიმო დღეების შემდეგ ძალიან მოკლე ხანში (რამდენიმე დღეში) ქუცო ბიძია თავად მესტუმრა, მომინახულა. სამი საათი მებაასა, მეხუმრა, მესაუბრა. შეწუხდა, რომ მისი ზეიმი უჩემოდ შედგა, ჭკუაც დამარიგა და რჩევებიც მომცა, ბოლოს გამამხნევა. იგი გულგრილი არავის და არაფრის მიმართ არასოდეს ყოფილა. მახსოვს, საღამოს ექვსი საათისთვის წავიდა — მიღება მეწყებაო (ეს ყველამ ყოველთვის კარგად ვიცოდით), მალევე გამოვკეთდი.

განვლილ იანვარ-თებერვალში რამდენჯერმე შევხვდი და რამდენიმე საათს ვისაუბრეთ უამრავ რამეზე, სამწუხაროდ, ამჯერად მის საძინებელში. ადრე მის ავტოფარეხშიც ხშირად გვისაუბრია ავტონაწილების შეკეთებისას, რომელშიც მე არაფერი გამეგებოდა.

ასე შეეძლო და უყვარდა გარშემომყოფებთან ურთიერთობა წლოვანების მიუხედავად. ამ სტრიქონებს სწორედ ამ უფლებით ვწერ მოკრძალებით, პატივისცემით, მადლიერებით და გულწრფელი გულისტკივილით.

ამა წლის 2 მარტს, შუადღეს, ქუცო ბიძიამ სამუდამოდ მიიძინა...

— იგი პირნათელია ჰიპოკრატეს ფიცის, ადამიანური, პიროვნული, პროფესიული და კაცური კოდექსების მიმართ. 92 წლის ასაკში ასრულებს თავის ამქვეყნიურ ცხოვრებას...

— იგი პირნათელია ყველას და ყველაფრის მიმართ, ვისაც და რასაც ოდესმე შეხებია...

— 65 წლის კეთილსინდისიერი საექიმო მოღვაწეობის განმავლობაში, მას ჰყავს ასი ათასობით უსაღვროდ მადლიერი პაციენტი და მათი მშობლები...

— პირველ აპრილს დაბადებულ კაცს, თავის ცხოვრებაში ერთი ტყუილიც არ უთქვამს...

— უსაზღვროდ დიდი სითბო და სიყვარული ჩაჰბერა თავის გარშემო მყოფ ადამიანებს...

ყველა ერთად შევევედროთ უფალს მისთვის მშვიდ სამარადისო სასუფეველს!

თენგო ახობაძე,
2017 წლის მარტი

ვაჟა-ფშაველას მუზეუმ-სამკითხველო ეროვნულ ბიბლიოთეკაში

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და კომპანია m^2 უძრავ ქონებას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და m^2-ის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბურდილაძემ მოაწერეს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვაჟა-ფშაველას მუზეუმ-სამკითხველო შეიქმნება, რომლის ნაწილის სარემონტო სამუშაოებსაც კომპანია m^2 დააფინანსებს.

აღნიშნული სივრცე სამკითხველო დარბაზს, მუზეუმს, სტუდენტურ ინოვაციურ კუთხესა და რეგისტრატურას გააერთიანებს. ეროვნული ბიბლიოთეკისა და m^2-ის მიერ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით, ეს ადგილი ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი მთავარი სივრცე უნდა გახდეს. ის ჩაფიქრებულია, როგორც ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული ადგილი.

ვაჟა-ფშაველას კომპლექსი საღამოობით საჯარო ლექციებს, მასტერკლასებსა და წიგნის პრეზენტაციებსაც უმასპინძლებს.

„ვაჟა-ფშაველას მუზეუმ-სამკითხველოს შექმნა საკუთარი არსით იქნება ერთგვარი ხიდი ტრადიციულ სამკითხველოსა და ინოვაციურს შორის, ერთგვარად ისეთი, როგორიც იყო თვითონ ვაჟა. ამ სივცრის ნებისმიერი შემადგენილი უკიდერსად მნიშვნელოვანი და საჭიროა თანამედროვე ბიბლიოთეკისთვის“ — ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე.

„m^2-სთვის, ჩვენი თითოეული თანამშრომლისთვის ძალიან დიდი პატივია ვაჟა-ფშაველას მუზეუმ-სამკითხველოს შექმნაში მონაწილეობის მიღება. გვიხარია, რომ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სივრცე შეემატება. განათლების ხელშეწყობა ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა გარემოზე ზრუნვასთან და ადაპტირებული გარემოს შექმნასთან ერთად“ — განაცხადა m^2-ის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბურდილაძემ.

ვაჟა-ფშაველას დარბაზი შემოდგომაზე გაიხსნება.

რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნანუკა ხუსკივაძე გახდა

როგორც ნანუკა ხუსკივაძემ განაცხადა, კომისიის წევრების ხმების რაოდენობით ის ნამდვილად ითვლება კონკურსში გამარჯვებულად, თუმცა დეტალებზე ოფიციალური დანიშვნის შემდეგ ისაუბრებს.

რუსთავის მერიამ კონკურსი გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე რამდენიმე თვის წინ გამოაცხადა, თუმცა მალევე გააუქმა. როგორც მერიის ვებგვერდზე ორი დღის წინ გათავსებულ ანონსშია მითითებული, ხელახალი კონკურის თითქმის ერთი თვის წინ გამოცხადდა და განაცხადების მიღება 16 მარტიდან იყო შესაძლებელი.

საკონკურსო პირობებში მითითებულია ის მოთხოვნები, რასაც თეატრის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევის წესი „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონშია გაწერილი.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

2

სტალინი და კულტურის მოღვაწეები

ინტელიგენციის როლი — სამსახურებრივია, საკმაოდ საპატიო, მაგრამ მაინც სამსახურებრივი.
ი.ბ. სტალინი.

... ლიტერატურის ყველა საკითხზე, თუნდაც უმნიშვნელოებზე, სტალინი ავლენდა ჩემთვის სრულიად გასაოცრად ღრმა ცოდნას.
კ.სიმონოვი.

ასე რომ — სტალინის წინააღმდეგობით თუ მისი წყალობით გავიმარჯვეთ ჩვენ დიდ სამამულო ომში, როდესაც ხრუშჩოვს დასჭირდა, ტალახი შეესხა სტალინის სახელისათვის, მაშინ დაიწყეს სისულელეების მოფიქრება იმის შესახებ, რომ სტალინი სრულიად ვერ ერკვეოდაო სამხედრო სამეებში. ხოლო როდესაც ფრონტის მონაწილეებმა და გამარჯვებულმა მარშლებმა დაიწყოს ამ ქვეყნიდან წასვლა, მაშინ ეს სიცრუე მასობრივად გადაბარგდა წიგნების გვერდებზე და კინოფილმების ეპიზოდებში. ვერ იცრუებდნენ გენერლები და მარშლები. იგივე ვასილევსკი, რომელიც ბევრსა და სიმართლის საუბრობდა სტალინზე. სტალინი რომ მკაცრი ხელმძღვანელი იყო. და ვასილევსკიც არ ყოფილა მისი საყვარელი ადამიანი. სტალინს საქმეში საყვარელი ადამიანები არ ჰყოლია. ერთნაირი მომთხოვნელობა ყველას მიმართ.

„მარშალ ვასილევსკის. ახლა 17 აგვისტოს 3 საათი და 30 წუთია, თქვენ კი ჯერ კიდევ ვერ მოახერხეთ, გამოგეგზავნათ ბანაკში შეტყობინება 16 აგვისტოს ოპერაციისა და ვითარების თქვენი შეფასების შესახებ. მე უკვე დიდი ხანია, დაგავალეთ თქვენ, როგორც ბანაკის სრულუფლებიან წარმომადგენელს, აუცილებლად გამოგეგზავნათ ბანაკში ოპერაციის ყოველი დღის ბოლოს სპეციალური შეტყობინება. თქვენ თითქმის ყოველთვის გავიწყდებოდათ ეს თქვენი მოვალეობა და არ აგზავნიდით ბანაკში შეტყობინებებს. 16 აგვისტო არის პირველი დღე მნიშვნელოვანი ოპერაციისა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, სადაც თქვენ ბანაკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ხართ. და თქვენ კვლავ მიეცით თავს ნება, დაგეივიწყებინათ თქვენი მოვალეობა ბანაკის წინაშე და არ აგზავნით ბანაკში შეტყობინებებს. უკანასკნელად გაფრთხილებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ თუნდაც ერთხელ მისცემთ თავს ნებას დავიწყოთ თქვენი მოვალეობა ბანაკის წინაშე, თქვენ გადაყენებული იქნებით გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან და გამოწვეული იქნებით ფრონტიდან... ი. სტალინი“.

„ამ დეპეშამ გამაოგნა, — წერს თავის მოგონებებში ვასილევსკი. **— ჩემი სამხედრო სამსახურის ყველა წლის განმავლობაში არ მიმიღია არც ერთი თუნდაც მცირე შენიშვნა ან საყვედური ჩემი მისამართით. ამ შემთხვევაში მთელი ჩემი დანაშაული იყო ის, რომ 16 აგვისტოს, როდესაც ვ.ვ. გლაგოლევის არმიის ჯარებში ვიყავი ბანაკის წარმომადგენლად, მე მართლაც რამდენიმე საათით დავაყოვნე მორიგი გზავნილი. ი.ბ. სტალინთან მთელი ჩემი მუშაობის განმავლობაში, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის პერიოდში, მე ყოველთვის ვგრძნობდი მის ყურადღებას, იმასაც ვიტყოდი — განსაკუთრებულ მზრუნველობას, როგორც მეჩვენებოდა, რასაც ნამდვილად ყოველთვის არ ვიმსახურებდი. რა მოხდა?“**

მართლაც, რა მოხდა? მარშალი ვასილევსკი თავის მემუარებში პატიოსნად აღიარებს, რომ რამდენჯერმე მართლაც დაგვიანებით ან ცოტა დაგვიანებით გაუგზავნა ანგარიშები სტალინს. და ღებულობდა საყვედურებს. მაგრამ ამჯერად კურსკთან ბრძოლაში, ის ყველაფერს აგზავნიდა დროულად. და აი, ასეთი დეპეშა, აღმოჩნდა, რომ ვასილევსკის მოხსენება მიიღო გენერალურმა შტაბმა და მოგვიანებით მოხსენდა ამის შესახებ სტალინს. შეყოვნება მოხდა სწორედ გენერალურ შტაბში, მაგრამ სტალინმა, რომელმაც არ იცოდა, რომ ვასილევსკიმ უკვე გამოაგზავნა ანგარიში, მკაცრად გაკიცხა ის, ვინაც შეცდომით მიიჩნია დამნაშავედ. მაგრამ როდესაც ამ მრისხანე წერილს აგზავნიდა, იოსებ ბესარიონის ძემ გამოიჩინა დელიკატობა. მან მიუთითა გენერალური შტაბის უფროსს ანტონოვს (რომელიც, სხვათა შორის, ამ პოსტზე თავის მაგივრად ვასილევსკიმ შესთავაზა), არავის გააცნოს დეპეშა და მისი ტექსტი შეინახოს თავისთან...

სტალინი ერთნაირად მომთხოვნი იყო ყველას მიმართ. მათ შორის თავისი თავისადმიც. და პატიოსანი ვასილევსკი მემუარებში წერს სიმართლეს, და არა იმას, რისი მოსმენაც ხრუშჩოვს უნდოდა.

„დამატებით მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა ი.ბ. სტალინზე, როგორც უმაღლეს მთავარსარდალზე. მიმაჩნია, რომ ომის წლებში ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობა, ჩემი მუდმივი, ლამის ყოველდღიური კავშირურთიერთობა სტალინთან, და ბოლოს, ჩემი მონაწილეობა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომებზე, რომლებზეც განიხილავდნენ შეიარაღებული ბრძოლის ამა თუ იმ პრინციპულ საკითხებს, მაძლევს უფლებას, ვთქვა მის შესახებ... გამართლებული იყო განა ის, რომ სტალინი სათავეში ედგა უმაღლეს მთავარსარდლობას? ის ხომ არ ყოფილა პროფესიონალურად სამხედრო მოღვაწე. რასაკვირველია, გამართლებულია... ჩემი ღრმა რწმენით, ი.ბ. სტალინი, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის მეორე ნახევრიდან, იყო სტრატეგიული სარდლობის ყველაზე ძლიერი და კოლორიტული ფიგურა. ის წარმატებით ახორციელებდა ფრონტების, ქვეყნის ყველა სამხედრო ძალისხმევის ხელმძღვანელობას პარტიის ხაზის საფუძველზე და შეეძლო, მოეხდინა მნიშვნელოვანი გავლენა მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებზე სამხედრო თვალსაზრისით“... (ამონარიდები ამოღებულია ა. ვასილევსკის წიგნიდან „მთელი სიცოცხლის საქმე“).

დაბოლოს, — ეპიზოდი, რომელიც გვიჩვენებს ერთ სიტუაციას, როდესაც სტალინი არ ხელმძღვანელობდა საბრძოლო მოქმედებებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მის მოქმედებებზე დამოკიდებული იყო ქვეყნის ბედი. სფეროები, რომლებსაც აკონტროლებდა სტალინი, ძალიან ბევრი იყო, ხოლო თუ ჩამოვთვლით პრობლემებსა და საკითხებს, რომლებსაც წარმართავდა სტალინი ომის დროს, გაოცებს მათი ოდენობა. ესენია:

- ***შეიარაღებისა და ამუნიციის წარმოების საკითხები;***
- ***სურსათისა და ტანსაცმლის საკითხები;***
- ***მობილიზაციისა და ფრონტზე შევსების მიწოდების საკითხები;***
- ***წამლებისა და საყოველთაო სამედიცინო მოწყობილობის წარმოების საკითხები;***
- ***მოკავშირეებთან ურთიერთობათა საკითხები;***
- ***საიდუმლო ოპერაციებისა და დაზვერვითი საქმიანობის საკითხები სახელმწიფო დონეზე.***

ყოველივე ამისთვის ზრუნავდა სტალინი. მის მარშლებსა და გენერლებს მხოლოდ კარგად უნდა ებრძოლათ. სსრ კავშირის მეთაურისთვის კი საბრძოლო მოქმედებები იყო მხოლოდ ერთი (შესაძლებელია, ყველაზე მნიშვნელოვანი), მაგრამ მაინც არა ერთადერთი ზრუნვისა და პრობლემების წყარო.

არადა, ის ხომ ამას თავს ართმევდა: და შეძლო, ეკეთებინა ისე, რომ სხვებს თავიანთი საქმეები წარმატებით ეკეთებინათ...

მაგრამ, იქნებ, „უხეშ სალდაფონს“, „სისხლიან დიქტატორ“ სტალინს შეეძლო და უყვარდა ჰქონოდა ურთიერთობა მხოლოდ მათთან, ვინც „სისხლს ღვრიდა“? ესე იგი სამხედროებთან?

ხოლო მაშინდელ „კრეატულ კლასთან“ ურთიერთობის მოწესრიგება არ შეეძლო?

მოდით გავერკვეთ.

კულტურის ადამიანთა უმრავლესობისათვის — ეს გართობაა. წაიკითხო წიგნი, ნახო ფილმი, მოისმინო რადიოსპექტაკლი. არიან ადამიანები, რომელთათვისაც კულტურა — ესაა შრომა. მათი რიცხვი გაცილებით ნაკლებია, თუმცა არც ისე ცოტა. მწერლები, დრამატურგები, მსახიობები, პოეტები, კომპოზიტორები. კულტურა მათ კვებავს და ანიჭებს მათ უკვდავებას, თუ ისინი ამის ღირსნი არიან. რასაკვირველია, კულტურა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. შეიძლება გამომათაყვაენებელიც, „მასობრივი“ — საპნის სერიალის ან უნიჭო წიგნის სახით სერიიდან „როგორ გამოვიმუშაოთ მილიონი ისე, რომ არაფერი ვაკეთოთ“. ანდა რაღაცით უნიკალური — წიგნი, რომელიც მკითხველის წინაშე წარმოაჩენს ადამიანური აზროვნების სიღრმეებს. ყველაფერი თავად ადამიანზე და მის არჩევანზეა დამოკიდებული. მაგრამ მათთვის, ვინც „კულტურაში“ არ მუშაობს, კულტურული ცხოვრება იწყება „სამსახურებრივი“ ცხოვრების შემდეგ. მუშაობა პირველ ადგილზე — ყველაფერი დანარჩენი მის შემდეგ. ამხანაგ სტალინისთვის ასეთი დაყოფა არ არსებობდა. უბრალოდ იმიტომ, რომ ის მუშაობდა მუდმივად და შეუჩერებლად. „სტალინის მთელი ცხოვრება, რომელსაც თვალყურს ვადევნებდი რამდენიმე წლის განმავლობაში, მუშაობა იყო. სადაც უნდა ყოფილიყო — სახლში, სამსახურში თუ დასვენების დროს — მუშაობა, მუშაობა და მუშაობა. ყველგან და ყოველთვის მუშაობა. ყველგან და ყოველთვის საქმეები და ადამიანები, ადამიანები, ადამიანები. მუშები და მეცნიერები, მარშლები და ჯარისკაცები (ა. კ.გოლოვანოვი — ავიაციის მთავარი მარშალი). მუშაობა დასვენების დროს. მუშაობა ყოველთვის. ეს იყო სტალინის ცხოვრების სტილი. ამიტომაც კულტურა სტალინისთვის უბრალოდ არ იყო უბრალოდ შესაძლებლობა, რომ გამოთიშულიყო და დაესვენა, არამედ ეს იყო კიდევ ერთი სფერო მუშაობისთვის. სასიამოვნო, საინტერესო — მაგრამ კიდევ ერთი სამუშაო სფერო. რომელშიც აუცილებელი იყო, აგეწყო ურთიერთობები იმ ადამიანებთან, რომლებიც ერკვეოდნენ საკითხში. და სტალინიც კულტურის სფეროში მოქმედებდა ზუსტად ისე, როგორც ნებისმიერ სხვა საკითხში. ცდილობდა, დახმარებოდა ზრდაში ყველაფერ სასარგებლოს, იცავდა კულტურულ ნარგავებს სარეველებისაგან.

ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ხალხში, ნებისმიერ ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე. კულტურა და ხელოვნება — ეს ის დარგია, სადაც იჭედება აზრები და შეგრძნებანი, რომლებიც შემდეგ ხალხს გადაეცემა. და რაც უფრო მაღალია ხალხის განათლება, მით უფრო მაღალია ტექნიკის დონე საზოგადოებაში, მით მეტ როლს ასრულებენ მასში ისინი, ვისაც სახის შექმნა შეუძლია. ისინი, ვისაც შეუძლია გაუზიაროს შექმნილი სახე, თავისი აზრები თანამოქალაქეებს. ეს კი ნიშნავს, რომ კულტურის მოღვაწეთა როლი იზრდება საუკუნეების განმავლობაში.

გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი მოქმედება იყო კამპანია წერა-კითხვის საყოველთაო სწავლისათვის. შეიძლება სხვადასხვაგვარად მიუდგე ბოლშევიკების პარტიის მეთოდებსა და მიზნებს, მაგრამ არ შეიძლება, არ ვაღიაროთ, რომ ასეთ თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ პოლიტიკას სახალხო განათლებისა და წერა-კითხვის ლიკვიდაციის დარგში ვერ ახორციელებდა ვერავინ... 1939 წლისათვის სსრ კავშირის მოსახლეობის 89 პროცენტი ფლობდა წერა-კითხვას.

ხალხს ასწავლიდნენ კითხვას. ხალხმა ისწავლა კითხვა. რის შემდეგაც მჭიდროდ დადგა საკითხი: რას წაიკითხავს ეს ხალხი? რა იქნება დაწერილი წიგნებში, რომლებსაც წერა-კითხვის ყველა მცოდნე აიღებს ხელში? სტალინისა და კულტურის მოღვაწეთა ურთიერთობის ისტორია ჭეშმარიტად იმსახურებს დაწვრილებით საუბარს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-72

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)



„ყოფილხართ ოდესმე საქართველოში, მისტერ?“

მძაფრსიუჟეტიანი ჯაშუშური და პოლიტიკური დეტექტივების გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ჯონ ლე კარე (მისი ნამდვილი სახელია დევიდ ჯონ მურ კორნუელი) პოპულარული გასული საუკუნის 60-იან წლებში გახდა, მას შემდეგ, რაც მკითხველმა მისი რიგით მესამე რომანი „ჯაშუში, რომელიც სიცივიდან დაბრუნდა“ წაიკითხა. ამ რომანში მწერალმა 1963 წელს ბრიტანეთის დეტექტიური და პოლიტიკური რომანის ასოციაციის პრემია „ოქროს ხანჯალი“, 1965 წელს კი „ამერიკული დეტექტივის საზოგადოების“ პრემია „ედგარი“ მიიღო. წიგნის წარმატებამ ლე კარეს საშუალება მისცა, სრულად გადართულიყო სალიტერატურო მოღვაწეობაზე.

უნდა ითქვას, რომ „ცივი ომის“ ხანის პოლიტიკური დეტექტივებისა და ჯაშუშური რომანების წერას აუცილებლად სათანადო ცოდნა სჭირდებოდა, რომელიც ჯონ ლე კარეს ნამდვილად აქვს: ბერნის უნივერსიტეტში იგი გერმანულ ენას სწავლობდა, შემდეგ ბრიტანეთის სადაზვერვო კორპუსის შემადგენლობაში ავსტრიაში გადიოდა სამხედრო სამსახურს. მერე კი ოქსფორდის უნივერსიტეტის მილფორდის სკოლა პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა.

60-იან წლებში ლე კარე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, შემდეგ კი ბონში იყო დიპლომატიურ სამსახურში. იგი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის თანამშრომელი გახლდათ, დიპლომატის სტატუსი კი მას ნაწარმოებთა საკუთარი სახელით გამოქვეყნების საშუალებას არ აძლევდა და ფსევდონიმი „ლე კარეც“ სწორედ ამიტომ გაჩნდა.

ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო ოპერაციები, მასთან დაკავშირებული ფათერაკები და თავგადასავლები, ჯაშუშების ცხოვრება, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი, ავტოგრაფიული წიაღსვლები, ნარკობიზნესი და ნარკოტიკების კონტრაბანდა, აფრიკული სინამდვილე — აი, ჯონ ლე კარეს ორ ათეულზე მეტი რომანის თემები. მისი ერთ-ერთი არც თუ დიდი ხნის წინათ (1999 წელს) გამოსული დინამიური და მძაფრსიუჟეტიანი რომანის „სინგლი და სინგლის“ სიუჟეტი საერთაშორისო მასშტაბში ფინანსური კორუფციის საკითხებს ეხება, რაშიც სხვადასხვა (მათ შორის უკვე დაშლილი საბჭოთა კავშირის) ქვეყნის საბაჟო სამსახურებია გარეული.

ცოტა ხნის წინათ რომანი „სინგლი და სინგლი“ რუსულადაც ითარგმნა, ჩვენი ყურადღება კი ამ უაღრესად საინტერესო ნაწარმოებმა, უწინარესად, გასული საუკუნის საქართველოს, კერძოდ, თბილისისა და სამეგრელოს ყოფის აღწერით, ასევე გარკვეული ქართველი პერსონაჟების არსებობით მიიპყრო.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჯონ ლე კარე პირველად 1998 წელს ესტუმრა, მისი მიზანი კი ქვეყნის კულტურის, ჩვენებური ადათ-წესების გაცნობა იყო. საქართველოში, კერძოდ თბილისსა და სამეგრელოში ბატონ ლე კარეს ყოფნის დროს, მისი მასპინძელი და მეგზური დედაქალაქშიც და სენაკშიც ცნობილი და დიდად პატივსაცემი ბატონ **ბადრი ბარკალაიასა** და ქალბატონ **დალი როგავა-ბარკალაიას** ოჯახი გახლდათ.

უნდა ითქვას, რომ ქალაქ სენაკში პირველი სტუმრობისას ბატონმა ლე კარემ იქ ოთხი დღე-ღამე დაჰყო, ხელმეორედ ნახევარი წლის შემდეგ ჩამობრძანებულს ინგლისის ტელევიზიის ერთ-ერთი ცნობილი არხის მეპატრონეც ახლდა. მასპინძელებმა სტუმრებს სენაკის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერებინეს, რომლებითაც ისინი აღფრთოვანებულები დარჩნენ, განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება 800 წლის ჭადარმა და ნოქალაქევის „დედამოკას“ არქეოპოლისმა მოახდინეს. ინგლისელი სტუმრები ზუგდიდსაც ეწვივნენ და აფხაზეთის საზღვარზეც გავიდნენ.

ბუნებრივია, მათ თბილისშიც დაჰყვეს რამდენიმე დღე და თუმცა იმ ხანის დედაქალაქში ნამდვილად ცუდი ვითარება სუფევდა, რაც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, აქ ყოფნას მაინც დიდი სითბოთი იგონებენ. სამეგრელომ კი თავისი ძირძველი, უკიდეგანო მასპინძლობით და დედაქალაქმა, თავისი განუმეორებელი სტუმართმოყვარეობით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს მათზე.

რომანი „სინგლი და სინგლი“ თურქეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში დანაშაულებრივი სინდიკატის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირის მკვლელობით იწყება, შემდეგ შეკუმშული ზამბარასავით სწრაფად იშლება და იმდენად საინტერესოდ ვითარდება, რომ ერთი ამოსუნთქვით იკითხება. თემის ჩინებულად მცოდნე მწერალი დამაჯერებლად, ჩვეული ოსტატობით გვიშლის თვალწინ საერთაშორისო მასშტაბის მქონე უმძლავრესი ორგანიზაციის მოქმედების მთელ ასპექტს, მამოძრავებელი აშკარა თუ ფარული ზამბარების მოქმედებას, დამნაშავეთა სამყაროსა და მექრთამე სამართალდამცველთა თუ მაღალი რანგის სხვა სახელმწიფო მოხელეთა ანგარებიან სიმბიოზს, მათ კავშირებს უკვე დაშლილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში თავის დროზე შემავალი რესპუბლიკების, ახლა უკვე დამოკიდებული ქვეყნების, მათ შორის რუსეთისა და საქართველოს კრიმინალურ წრეებთან.

ჯონ ლე კარეს რომანს „სინგლი და სინგლი“ გამორჩეული სტილი და, ზოგადად, მაღალხარისხოვანი, ინგლისური ლიტერატურისთვის ასე დამახასიათებელი ლიტერატურული ენა გამოარჩევს, რომელიც მას ბრიტანეთის საუკეთესო თანამედროვე მწერალთა ერთ-ერთ გამორჩეულ კალმოსნად წარმოგვიჩენს. მისი პროზის თითოეული ნაწყვეტი ერთგვარი ავტორისეული სარკაზმითაა გამორჩეული, შექმნილი ვითარების, საგნებისა და რომანის პერსონაჟებისადმი გარკვეული ირონიული დამოკიდებულებითაა შეფერილი, რასაც თავად ავტორი მოქმედ პირთა ფიქრებით ნიღბავს.

უაღრესად შთამბეჭდავია რომანში აღწერილ დანაშაულებრივ ქმედებათა, მათ შორის, ნარკოტიკებით, იარაღით, რადიოაქტიური ნარჩენებით, ფერადი ლითონების ჯართით, სისხლით უკანონო ვაჭრობის მასშტაბები: მაგალითად, პოლიცია ქუჩაში გაყიდული ნარკოტიკების (კერძოდ კი ჰეროინის) მთლიანი ოდენობიდან ერთი პროცენტის მხოლოდ მეათიათასედი ნაწილის (!) დაკავებას თუ ახერხებს! მარტო ამერიკელები ნარკოტიკების შესაძენად ყოველწლიურად 78 მილიარდ დოლარს ხარჯავენ! ბოლო ათ წელიწადში მსოფლიოში კოკაინის წარმოება გაორმაგდა, ჰეროინისა კი, სულაც, გასამმაგდა! ამ სფეროში მოღვაწე საერთაშორისო სინდიკატების ყოველწლიური შემოსავალი 400 მილიარდ დოლარს აჭარბებს. ამასთან, მწერალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დღევანდელ სინამდვილეში კრიმინალური სტრუქტურები (რომანში აღწერილს იგი „ჰიდრას“ უწოდებს) აუცილებლად ასეთივე არსის მქონე სახელმწიფო სტრუქტურებთან სიმბიოზში არსებობენ და მოქმედებენ.

„დემოკრატიულ სახელმწიფოებში ორმაგი სტანდარტი მოქმედებდა: ისინი, ვინც გმობდნენ ნარკოტიკების გავრცელებას, მწვანე შუქს უნთებდნენ ჩრდილოვან ეკონომიკას; ისინი, ვინც დეკრიმინალიზაციას ქადაგებდნენ, დამცავ სიგელებს აძლევდნენ დამნაშავეებს...

დანაშაული უკვე აღარ არსებობს სახელმწიფოსგან მოწყვეტით, საერთოდაც თუკი უარსებია ასეთად ოდესმე... დღესდღეობით ფსონები საიმისოდ ძალიან მაღალია, რომ დანაშაული მარტო დამნაშავეთა საასპარეზოდ დარჩეს...“, — წერს ჯონ ლე კარე, რომელიც სრულად ფლობს ინფორმაციას სახელმწიფო სტრუქტურებისა და დამნაშავეთა კლანების ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის თაობაზე.

რომანში „სინგლი და სინგლი“ ჰიდრას რუსეთელი პარტნიორები კრიმინალური ავტორიტეტები ძმები ევგენი და მიხეილ ორლოვები არიან, რომელთა მარჯვენა ხელი და ყველაზე მეტად დაახლოებული პირია ვინმე სენაკელი შალვა.

„— ყოფილხართ ოდესმე საქართველოში, მისტერ ოლივერ? — ეკითხება შალვა. უდიდესი თაყვანისცემა მის ხმაში ოლივერს კარნახობს, რომ, მისი აზრით, საქართველოზე უკეთესი ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება.

— სამწუხაროდ, არა, — ამბობს ოლივერი. — მაგრამ მსმენია, რომ ეს ძალიან ლამაზი ქვეყანაა.

— საქართველო სამოთხეა, — თავს უკრავს შალვა, რომელმაც უწყის ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციას.

— Georgia very beautiful, — მოულოდნელად იმეორებს ევგენი და თავს ენერგიულად აქნევს“, — ასეთია საქართველოსა და მეგრელი ავტორიტეტის შალვას პირველი ხსენება ნაწარმოებში, რასაც შემდეგ უკვე საქმიანი პასაჟი მოსდევს:

„— მისტერ ევგენი და მისტერ მიხეილ ორლოვებს საბჭოთა კავშირში ძალიან კარგი კავშირები აქვთ. გასაგებია?... ჯარსა და სახელმწიფოს სამსახურში, ასევე საქართველოში კონტაქტების წყალობით მისტერ ევგენი უმაღლეს დონეზეა გასული...“

უაღრესად საინტერესოა, თუ როგორია საერთაშორისო დონის ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი სინდიკატის თავკაცთა შეხედულებები, რომლებიც თვალნათლივ წარმოჩინდება ნავთობმომპოვებელი კომპანიის შერჩევისას.

„... ამ დროს საჭიროა კავკასიის რეგიონის ერების განსაკუთრებული ინტერესების გათვალისწინება. კომპანიამ, უწინარესად, ამ ხალხების ნდობა უნდა მოიპოვოს, მათთან უნდა ითანამშრომლოს. მან მარტო საკუთარი თავი კი არა, არამედ ისინიც უნდა გაამდიდროს — აზერბაიჯანი, დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი... — მერე ევგენის შეხედა, — საქართველო. ხელისუფლების უმაღლეს დონეს საქართველოსთან განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობები აქვს. საქართველოს კეთილდღეობას მოსკოვში სხვა რესპუბლიკებს შორის პირველ ადგილზე აყენებენ... საქართველო — ესაა ყველაზე ძვირფასი პატიოსანი თვალი საბჭოთა კავშირის გვირგვინში...“

თუ რა ძალისა და გავლენის პატრონია ეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია, ასეთი შტრიხი მოწმობს:

„— ჩვენი ფირმაც იმისათვის არსებობს, რომ „დიახ“, ვთქვათ იქ, სადაც სხვები „არას“ ამბობენ. ჩვენ ახალ პერსპექტივებს ვშლით“.

ორგანიზაციის ძლევამოსილებაზე კიდევ ასეთი მომენტიც მეტყველებს:

„უმაღლეს დონეზე მიღებულია სისხლის ბანკების შექმნის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქში...“

მაფიის თვალსაზრისით, სისხლიც ისეთივე საქონელია, როგორიც ჯართი, ნავთობი, ცემენტი...

თუმცა ჩვენი წერილის მთავარი თემა არა თავად რომანის სიუჟეტი და მისი პერიპეტიებია, რამდენადაც საქართველოსადმი მიძღვნილი მომენტები, რომელთა გაჩენას ნაწარმოებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდწილად ბარკალაიების ოჯახს უნდა ვუმადლოდეთ:

„...იგი შეყვარებულია საქართველოს თვალწარმტაც ბუნებაზე, პატივს მიაგებს ქართულ კულტურას. საქართველოშია ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ტაძარი“.

„მათი სიმღერა მიჰქრის მთებით, მწვერვალებს ეხება, ჩადის უფსკრულებში...

— ეს ქართული სიმღერაა? — მორიდებით ეკითხება ოლივერი ევგენის... როცა აპლოდისმენტები ცხრება.

—... არა, ქართული კი არა, ოლივერ, ის მეგრული სიმღერაა...

რუსეთი არასდროს არ იმსახურებდა საქართველოს... ყოველ ჯერზე, როცა ქრისტიანული საქართველო რუსეთს მუსლიმანთა ურდოებისგან დაცვას სთხოვდა, რუსეთი მის სიმდიდრეს იტაცებდა და საქართველოს ჩექმის ქვეშ აყოლებდა“.

რომანში ცხადია, არის რამდენიმე ისეთი შტრიხი, რომელიც ყოველგვარი შელამაზების გარეშე წარმოაჩენს 90-იანი წლების მიწურულის საქართველოს, თბილისს, იმ ხანად ქვეყანაში ერთიანად გამეფებულ ერთგვარ გაუცხოებასა და ყოფის სიდუხჭირეს, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, რომანი „სინგლი და სინგლი“ მთლიანად დიდი ინტერესით იკითხება, რაშიც მკითხველი თავადვე დარწმუნდება, როცა ის ქართულ ენაზე დაისტამბება.

ოთარ ტურაბელიძე

დუტერტე ჩინეთის კუნძულს ედავება

ფილიპინების პრეზიდენტმა კიდევ ერთი სკანდალური განცხადება გააკეთა. როდრიგო დუტერტემ თავდასცვის სამინისტროს სამხრეთ-კორეის ზღვაში მდებარე დაუსახლებელ კუნძულზე დროშის აღმართვა უბრძანა. ფილიპინების ლიდერის განცხადებას პეკინის მწვავე რეაქცია მოჰყვა. კუნძულზე პრეტენზიას ჩინეთი აცხადებს.

700-მდე მიგრანტი გადაარჩინეს

ლიბიის სანაპიროებთან სამაშველო ოპერაცია დასრულდა. ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა 700-მდე მიგრანტი დაღუპვას გადაარჩინეს. ლტოლვილები იტალიის სანაპიროებამდე მიღწევას რეზინის ნავებით ცდილობდნენ. მალტის არასამთავრობო ორგანიზაციის გემმა მათ დროულად მიუსწრო. მიგრანტებს დახმარება უკვე აღმოუჩინეს.

ახალ ზელანდიაში სტიქიას ებრძვიან

ტროპიკულმა ციკლონმა „დებიმ“ ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებს გადაუარა. ძლიერ ქარიშხალს თან წყალდიდობა და მეწყერი დაერთო. დატბორილია ათობით დასახლებული რაიონი. სტიქიის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა. მსხვერპლის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია ამ დრომდე არ გავრცელებულა. მაშველები დაკარგულ მამაკაცს ეძებენ, რომელიც, სავარაუდოდ, ადიდებულმა მდინარემ გაიტაცა.

ღვაწლმოსილი ადამიანი



ღვაწლმოსილ ექიმ- პარაზიტოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ გია ჭუბაბრიას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

იგი 1963 წლიდან მოღვაწეობდა ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელსაც 1998 წლიდან 2009 წლამდე ხელმძღვანელობდა. ბატონი გია წლების განმავლობაში გახლდათ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი პარაზიტოლოგი და დიპლომის შემდგომი განვითარების აკადემიის სამედიცინო პარაზიტოლოგიის პროგრამის რეზიდენტურის დირექტორი.

გია ჭუბაბრია 65 -ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორია. ამ ნაშრომთა უმეტესობა შეეხება მალარიის, ამებიაზის და სხვადასხვა ჰელმინთოზის, უმარტივესების დიაგნოსტიკის მკურნალობისა და პროფილაქტიკის აქტუალურ საკითხებს.

დიდია ბატონი გიას ღვაწლი სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის დარგის განვითარების საქმეში. წლების განმავლობაში სამედიცინო სფეროში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

არანაკლებია მისი ღვაწლი და დამსახურება ქართული პარაზიტოლოგიის იმ დიდი სკოლის გადარჩენაში, რომელიც მისმა წინამორბედმა დიდმა მეცნიერებმა და მასწავლებლებმა შექმნეს. უმძიმესი 90-იანებიდან მოყოლებული და მის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე კატაკლიზმების ფონზე ბატონ თემო ჩირგაძესთან ერთად ბატონ გიას უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუწია, რათა უკლებლივ შეენარჩუნებინა ის გუნდი, რომელიც წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს.

მისი მშობლიური ინსტიტუტის თანამშრომლები, მთელი გუნდი დიდი სიყვარულით ვულოცავთ ბატონ გიას საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას .

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს ბავშვთა კარდიოქირურგიულ დეპარტამენტსა და იტალიის წამყვან კლინიკა „ბამბინო გესუს“ („Bambino Gesu“) და ჩინეთის „ჰებეის ბავშვთა ჰოსპიტალის“ (Hebei Provincial Children's Hospital) კარდიოქირურგიულ დეპარტამენტებს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. იტალიელ და ჩინელ კოლეგებთან მემორანდუმის გაფორმების მიზანია კლინიკის სამედიცინო პერსონალისთვის ერთობლივი ტრენინგ-პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა, განსაკუთრებული სირთულის შემთხვევების ერთობლივი მართვა და ახალგაზრდა ქართველი ექიმების სწავლება იტალიის და ჩინეთის კარდიოქირურგიულ კლინიკებში. მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში 22-საწოლიანი ბავშვთა კარდიოქირურგიული დეპარტამენტი 2015 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს. დეპარტამენტის სამედიცინო პერსონალს ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება აქვს მიღებული იტალიის, რუსეთის, ჩინეთის, გერმანიის კარდიოქირურგიულ კლინიკებსა და სამედიცინო ცენტრებში. დეპარტამენტის გახსნის დღიდან ქართველი და უცხოელი ექიმების გუნდის მიერ ჩატარებულია ასამდე კარდიოქირურგიული ოპერაცია სხვადასხვა სირთულის გულის პათოლოგიის დროს. მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას იტალიისა და ვატიკანის ელჩები ესწრებოდნენ.

● ჯანმრთელობა

გასტრიტი თოთო ბავშვივით გასაფრთხილებელი მძიმე დაავადებაა

კუჭ-ნაწლავის პათოლოგიებს შორის გასტრიტი ერთ-ერთი გავრცელებული დაავადებაა. სხვადასხვა ქვეყნის გასტროენტეროლოგთა მონაცემებით ქრონიკული გასტრიტით დაავადებულია ზრდასრული მოსახლეობის 50-80% და ასაკთან ერთად მისი გავრცელება იზრდება. ამ რთულ პათოლოგიასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, მედიცინის აკადემიურ დოქტორს, გასტროენტეროლოგს თამარ ყანდაშვილს.

— ქ-ნო თამარ, რა დაავადებაა გასტრიტი და როგორ ვითარდება იგი?

— გასტრიტი კუჭ-ნაწლავის დაავადებათა შორის ფართოდ გავრცელებული პათოლოგიაა და აერთიანებს კუჭის მწვავე და ქრონიკულ დაავადებათა დიდ ჯგუფს. გასტრიტის დროს ვითარდება კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება. არჩევენ მწვავე და ქრონიკულ გასტრიტს. მწვავე გასტრიტი აღმოცენდება კუჭის ლორწოვან გარსზე ალკოჰოლის , სხვადასხვა აგრესიული ქიმიური ნივთიერებების ან მიკრობებით დაბინძურებული საკვები პროდუქტების მოხმარებით. მწვავე გასტრიტისგან განსხვავებით, ქრონიკული გასტრიტი ნელა პროგრესირებს. ახასიათებს ხანგრძლივი მიმდინარეობა. ქრონიკული გასტრიტი წარმოადგენს კუჭის ლორწოვანი გარსის ქრონიკულ ანთებას, რომელიც ხასიათდება ჯირკვლოვანი ეპითელის ატროფიით, ნაწლავური მეტაპლაზიით, კუჭის სეკრეტული, მოტორული და ინკრეტორული ფუნქციის დარღვევებით. დაავადება ფართოდ არის გავრცელებული და კუჭის დაავადებათა, დაახლოებით 85% შეადგენს.

გასტრიტის გამომწვევ მიზეზთა შორის მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები, კერძოდ: ბაქტერია helicobacter pylori(hp), მიჩნეულია, რომ გასტრიტის და კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების 85% ასოცირებულია ამ ბაქტერიასთან და განიხილება როგორც სხვადასხვა პეპტიკური დაავადების ძირითადი პათოგენეზური ფაქტორი. Hp-ს გააჩნია ლორწოს ბლანტ გარემოში სწრაფი მოძრაობის უნარი. იგი მჭიდროდ ფიქსირდება კუჭის ლორწოვანი გარსის ეპიტელურ უჯრედებზე და აზიანებს მას. მეკოლიზური და ლიპოლიზური აქტივობის საშუალებით შლის ლორწოს, არღვევს მის სტრუქტურას, იწვევს ლორწოვანი გარსის ანთებით ცვლილებებს. მიაჩნიათ, რომ hp-ით კუჭის ლორწოვანი გარსის ხანგრძლივი ინფიცირება განაპირობებს ლოკალურად ჯირკვლების ატროფიას და ნაწლავური მეტაპლაზიის განვითარებას, რაც პროგრესირებს ბაქტერიის ზემოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად. ამ ადგილებში დაქვეითებული რეზისტენტობის გამო ეპითელიუმი მგრძნობიარე ხდება მარილმჟავა და პეფსინის მიმართ, რასაც ეროზიებისა და წყლულების ჩამოყალიბება მოსდევს.

არაბალანსირებული კვება შესაძლოა, კუჭის ლორწოვანი გარსის ანთების მიზეზი გახდეს. ალკოჰოლის ჭარბად გამოყენება და ზოგიერთი სამკურნალო საშუალების, მაგალითად არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო და სისხლის შედედების საწინააღმდეგო საშუალებების ხშირი მიღება აზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს.

გასტრიტის გამომწვევ შინაგან ფაქტორებად შეიძლება დავასახელოთ დუოდენური რეფლექსი — თორმეტგოჯა ნაწლავიდან კუჭში ნაღვლის გადმოტყორცნა, აუტოიმუნური პროცესები — იმუნური სისტემის უჯრედების მიერ საკუთარი ორგანიზმის უჯრედებზე შეტევა, ჰორმონალური ფონის დარღვევა და სხვ. არჩევენ ზედაპირულ (არაატროფიულ) და ატროფიულ გასტრიტს. ზედაპირული გასტრიტის დროს პათოლოგიური პროცესი მოიცავს კუჭის ლორწოვან გარსს. მარილმჟავას სეკრეცია უცვლელია ან შესაძლოა, იყოს მომატებული. ატროფიული გასტრიტის დროს კუჭის ლორწოვანი გარსის ქრონიკული ანთება თანდათან იწვევს კუჭის წვენის გამომყოფი ჯირკვლების დაზიანებას, მათი რაოდენობის შემცირებას და შესაბამისად, მარილმჟავის გამომუშავების დაქვეითებას.

— რა სიმპტომები ახლავს აღნიშნულ დაავადებას?

— მწვავე გასტრიტს თან ახლავს საერთო სისუსტე, თავბრუხვევა, გულძმარვა, ზოგჯერ გულისრევა და ღებინება, ტკივილი მუცელში. შესაძლოა, თან დაერთოს ცხელება. ქრონიკული გასტრიტი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს დაღლილობის შეგრძნებით, ნაწლავების არარეგულარული მოქმედებით, მეტეორიზმით. დაავადების მიმდინარეობა განსხვავდება მჟავიანობის სხვადასხვა ფორმის დროს. კერძოდ, მომატებული მჟავიანობის შემთხვევაში აღინიშნება ტკივილი მზის წნულის მიდამოში, გულძმარვა, ბოყინი. დაბალი მჟავიანობის დროს გამოხატულია პირიდან უსიამოვნო სუნი, ბოყინი, გულისრევა ძილის საათებში, მუცლის ბერვა, ნაწლავების არარეგულარული მოქმედება. ქრონიკული გასტრიტის ფონზე შეიძლება ჩამოყალიბდეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა დაავადებები. მაგალითად, მაღალია ზედაპირული გასტრიტის ფონზე თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების ჩამოყალიბების რისკი. დაბალი მჟავიანობის მიმდინარე ატროფიული გასტრიტის დროს ხშირია კუჭის წყლულოვანი დაავადების ჩამოყალიბების შესაძლებლობა და მატულობს კუჭის კიბოს განვითარების რისკი.

გასტრიტს შეიძლება მოჰყვეს სხვადასხვა გართულება, მაგალითად, ეროზიული გასტრიტის დროს განვითარდეს შინაგანი სისხლდენა, ჩირქოვანი ფლეგმონოზური გასტრიტი გართულდეს პერიტონიტით, სეფსისით. რკინადეფიციტური და be 12 დეფიციტური ანემიით, ჰიპოვიტამინოზით, ანორექსიით, კუჭის წყლულოვანი დაავადებით, კუჭის ონკოლოგიური პათოლოგიით.

— თანამედროვე მკურნალობის მეთოდები როგორია?

— გასტრიტის გამწვავების დროს აუცილებელია დამზოგავი დიეტა. დაუშვებელია ყავა, შოკოლადი, გაზიანი სასმელები, ალკოჰოლი, კონსერვები, ნებისმიერი პროდუქტის კონცენტრატი, შებოლილი, ცხიმიანი, შემწვარი საკვები, დუღილის მაპროვოცირებელი საკვები — არაჟანი, რძე, ყურძენი, შავი პური... მოწოდებულია ცილებით და ვიტამინებით მდიდარი ბალანსირებული კვება 5-6 ჯერ მცირე ულუფებით, ფიქსირებულ საათებში. რაციონში უნდა ჩაირთოს თეთრი უქერქო გამომშრალი პური, წვნიანი, ხაჭო, თოხლო კვერცხი, ხილი, კენკროვანი, ორთქლზე დამზადებული ხორცის კერძები, კარაქი. სასურველია ნერვულ-ფსიქიკური ტრამვების თავიდან აცილება, კვებისა და შრომის რეჟიმის სწორი ორგანიზაცია. თამბაქოს წევისა და ალკოჰოლის აღკვეთა, ძილის ხანგრძლივობის გაზრდა არანაკლებ 8 საათისა.

გასტრიტის სიმპტომების გამოვლენისას აუცილებელია ექიმთან ვიზიტი. დაუშვებელია თვითმკურნალობის ჩატარება. მხოლოდ მკურნალი ექიმის გააზრებული კომბინირებული თერაპიის შედეგად შესაძლებელია ეფექტური მკურნალობა და გართულებების თავიდან აცილება. სამკურნალო საშუალებები ინიშნება დიფერენციულად, წყლულოვანი დაავადების კლინიკური მიმდინარეობის გათვალისწინებით. ექიმი განსაზღვრავს მკურნალობის ტაქტიკას და ხანგრძლივობას. ფიზიო და ბალნეო მკურნალობით აუცილებლობას და არჩევს შესაბამის მინერალურ წყალს, უნიშნავს სამკურნალო წყალ-საშუალებებს ამჟამად მოწოდებული აპრობირებული კომბინაციის გამოყენებით. პრეპარატის დოზირება და მათი მიღების ხანგრძლივობის განსაზღვრა პაციენტის ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით მხოლოდ თერაპევტის ან გასტროენტეროლოგის პრეროგატივაა. hp-ით ინფიცირების პროფილაქტიკა ჯერჯერობით ელემენტარული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების და წესების დაცვაში გამოიხატება.

ექიმის პაციენტთან მჭიდრო კონტაქტი, ხანგრძლივი და ბეჯითი მკურნალობა არის დადებითი ეფექტისა და სრული გამოჯანმრთელების გარანტი.

ესაუბრა
ირინა ტატიშვილი

● რაგბი ჩვენი თამაშია!

საქართველოს რკინიგზა „ლოკომოტივის“ სპონსორია

„შევარდენის“ სარაგბო ბაზაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა სს „საქართველოს რკინიგზასა“ და სარაგბო კლუბ „ლოკომოტივი 2008“-ს შორის.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს რაგბის კლუბ „ლოკომოტივი 2008“-ის დამფუძნებელმა თემურ ბენდიანიშვილმა და სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ. მემორანდუმის გაფორმებას დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი და რაგბის კავშირის პრეზიდენტი გოჩა სვანიძე.

„რაგბი საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს რკინიგზას რაგბის და ზოგადად

სპორტის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ასეთი მხარდაჭერა ნამდვილად სამაგალითოა და მისაბაძია ასევე კერძო სექტორის წარმომადგენელთათვის.

ვფიქრობ, საკლუბო რაგბის ხელშეწყობა დამატებითი სტიმული იქნება ჩვენი ახალგაზრდა სპორტმენებისათვის. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად მივესალმები „საქართველოს რკინიგზის“ ამ ინიციატივას და იმ ფაქტს, რომ კომპანიამ ქართულ სპორტში 2013 წლიდან მოყოლებული რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიცია უკვე განახორციელა“ — განაცხადა მემორანდუმის გაფორმების შემდეგ **ტარიელ ხეჩიკაშვილმა.**

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რკინიგზა უკვე წლებია აქტიურად ახორციელებს საკლუბო გუნდების ფინანსურ მხარდაჭერას, რომელთა შორისაა რაგბის კლუბი „ლოკომოტივი-2008“, კალათბურთის ეროვნული ფედერაცია, საკალათბურთო კლუბი „სოხუმი“ და ასევე წყალბურთელთა გუნდი „ლოკომოტივი“.

ჯამში 2013-2017 წლებში სს „საქართველოს რკინიგზამ“ სხვადასხვა სპორტული სახეობების დაფინანსებისათვის კომპანიის ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარი გაიღო. სამომავლოდ სს „საქართველოს რკინიგზა“ რაგბის კლუბებისთვის და მთლიანად ქართული სპორტისთვის ძალიან ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას გეგმავს.

ბადრი იაშვილი

● განმარტება

ჭიდაობის ფედერაცია:

„საქართველოს ნაკრები ოკუპირებულ ყირიმში არ ემზადება“

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია მისი პრეზიდენტის გეგა გეგეშიძის კომენტართან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას აქვეყნებს, სადაც აღნიშნულია, რომ მოჭიდავეთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შეკრებას არა ოკუპირებულ ყირიმში, არამედ ადლერში გადის.

„საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია განმარტავს, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის საქართველოს ნაკრები შეკრებას ალუშტის ბაზაზე არ გადის. ეს იყო მექანიკური შეცდომა, რომელიც საუბრისას იქნა დაშვებული. ეროვნული ნაკრების ნაწილი ბორჯომში იმყოფება, ნაწილი კი — საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა უფროსი ასაკის ნაკრები უკვე რამდენიმე დღეა ევროპის ჩემპიონატისთვის ადლერში შეკრებაზე იმყოფება, ხოლო გუშინ გუნდს 23-წლამდე ასაკის ნაკრების წევრებიც შეუერთდნენ, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაიწყეს მზადება.

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებებმა უკვე გაიარა შეკრება სომხეთის ქალაქ წახკაძორში, რის შემდეგაც ჩვენს ქვეყანას ევროპის ჩემპიონატზე გუნდური პირველი ადგილი და 11 მედალი მოუტანეს“, — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გეგა გეგეშიძემ ბოლო სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს ნაკრები ალუშტაში მოემზადება, რომელიც ოკუპირებულ ყირიმში მდებარეობს.

კობა კობახიძე

საფეხბურთო მოზაიკა

იწყება „თბილისის მერიის თასი - 2017“

8-9 აპრილს „თბილისის მერიის თასი 2017“ სფფ-ს ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“, „მარაკანასა“, და „ავაზას“ სტადიონებზე 9 საათიდან აიღებს სტარტს.

მერიის თასის გათამაშებაში თბილისის ლიგის უმაღლესი და პირველი ლიგების 30 გუნდი ოლიმპიური სისტემით მიიღებს მონაწილეობას და გამოვლინდება ორი საუკეთესო, რომელიც ისპარეზებს „მოყვარულთა თასის 2017“ -ის ფინალურ ეტაპზე. სეზონის ბოლოს თბილისის ლიგისა და თბილისის მერიის თასის გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს თბილისის მერიის სუპერთასზე დაუპირისპირდებიან.

თბილისის მერიის თასი 2017 საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებითა და ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ტარდება.

თბილისის ლიგის ოფიციალური პარტნიორი და ფინანსური მხარდამჭერია ქალაქ თბილისის მერია, ხოლო საინფორმაციო მხარდამჭერები არიან: ტელეკომპანიები: „აჭარა“ და „თრიალეთი“. ინტერნეტ პორტალები: „მსოფლიო სპორტი“, „Goal.ge“, „Sportstar.ge“, „Inews.ge“, „epn.ge“, „ავტორადიო“ და რადიო „ჯაკო“.

იური სიომინი:

„ქართველები ჩვენთან ყოველთვის იმარჯვებენ“

მოსკოვის „ლოკომოტივს“ სოლომონ კვირკველია ჩინებულად მოერგო და მიუხედავად მოკლე პერიოდისა, რკინიგზელთა დაცვის ხაზი მის გარეშე უკვე წარმოუდგენელია. ყოველივე ეს „ლოკოს“ მთავარი მწვრთნელის იური სიომინისთვის სიურპრიზი არ ყოფილა.

რუსეთის თასის ნახევარფინალში „უფასთან“ 1:0 გამარჯვების შემდეგ კითხვაზე, რომ მიუხედავად ვედრან ჩორლუკას ყოლისა, დაცვის ლიდერად კვირკველია ყალიბდება. გამოცდილი სპეციალისტის პასუხი ასეთი იყო:

„კვირკველია? — ჩემთვის მოულოდნელი არაფერია. ჩვენთან ქართველები კარგად თამაშობენ — ისინი „ლოკომოტივში“ ყოველთვის რაღაცას იგებენ (იღიმის)“, — განაცხადა სიომინმა.

შეგახსენებთ, რომ „ლოკომოტივმა“ კვირკველია ერთი თვის წინათ ყაზანის „რუბინიდან“ ინათხოვრა და ქართველი გუნდის გამორჩეულ ფიგურად ყალიბდება. იგი უკვე ორჯერ პრემიერლიგის სიმბოლურშიც მოხვდა.

დიეგო კოშტას სასჯელი ემუქრება

ლონდონის „ჩელსის“ თავდამსხმელ დიეგო კოშტას ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ემუქრება. „მანჩესტერ სიტისთან“ მოგებულ მატჩში (2:1) მან მეტოქე მცველ ვენსან კომპანის მუხლში ფეხი განზრახ ჩაარტყა.

ბრაზილიური წარმოშობის ესპანელი მოწინააღმდეგესთან ბრძოლისას წაიქცა და ვენსანს ორივე ფეხი ამის შემდეგ ჩაარტყა. აღსანიშნავია, რომ კომპანიმ დარტყმა ზუსტად იმ მუხლში მიიღო, რომლის დაზიანების გამოც 4 თვე მკურნალობდა და მოედანზე ახალი დაბრუნებულია.

მატჩის მთავარმა არბიტრმა ამ ეპიზოდში ვენსანი დააჯარიმა, რომელიც ბურთისთვის ბრძოლისას წესებს არღვევდა და დიეგო კოშტას შემდგომ საქციელს ყურადღება არ მიაქცია. ინგლისელი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეპიზოდი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ უნდა შეისწავლოს, ის უნდა შეაფასოს, როგორც ძალადობრივი აქტი და დიეგო კოშტას შესაბამისი სასჯელი გამოუწეროს.

გვარდიოლას ანტირეკორდები

„მანჩესტერ სიტის“ ესპანელ თავკაც პეპ გვარდიოლას რთული დროება უდგას. ჩემპიონთა ლიგაზე „მონაკოსთან“ განცდილი მარცხის შემდეგ მისმა გუნდმა წარუმატებელი სერია პრემიერლიგაშიც გააგრძელა და ორი ფრის შემდეგ დამარცხდა.

როგორც იცით, „სიტის“ ლონდონში „ჩელსიმ“ 2:1 მოუგო და ქალაქელთათვის ეს მეექვსე მარცხი იყო პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში. გვარდიოლასთვის, რომელსაც აქამდე „ბარსელონასა“ და „ბაიერნში“ უმუშავია, ეს სარეკორდო მაჩვენებელია ერთ ტურნირში ერთი სეზონის განმავლობაში განცდილი მარცხის მიხედვით.

გარდა ამისა, გვარდიოლას გუნდს აქამდე ერთიდაიმავე მოწინააღმდეგესთან სეზონში ორი თამაში არასდროს დაუთმია და ახლა „ჩელსისთან“ ეს ანტირეკორდიც დამყარდა.

გიორგი ზოთაძე

● ვარსკვლავი

ფედერერი „როლან გაროსამდე“ დაისვენებს

მაიამის მასტერზის გამარჯვებულმა როჯერ ფედერერმა განაცხადა, რომ დასვენება სჭირდება და „როლან გაროსამდე“ არც ერთ სხვა ტურნირზე თამაშს არ აპირებს.

„ვფიქრობ, რომ „როლან გაროსამდე“ არცერთ ტურნირში არ მივიღებ მონაწილეობას. დასვენება და ძალების აღდგენა მჭირდება“, — განაცხადა შვეიცარიელმა ლეგენდამ.

ამგვარად, ფედერერი ისეთ მნიშვნელოვან ტურნირებს გამოტოვებს, როგორიცაა მონტე-კარლოს მასტერზი (რომელიც არასდროს მოუგია), ბარსელონას ტურნირი, მადრიდის და რომის მასტერზები.

ვიტალი ჯაფარიძე



● დღესასწაული

ხარება

ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

7 აპრილს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ერთ „ათორმეტ“ საუფლო დღესასწაულს, რომელიც დადგენილია მთავარ ანგელოზ გაბრიელის მიერ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების მოსახსენებლად.

...წმინდა მამების გადმოცემით, მთავარანგელოზი იმ დროს გამოეცხადა ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამს, როდესაც იგი საღვთო წერილს კითხულობდა. მან, კერძოდ, ამოიკითხა ბიბლიის ის ადგილი, სადაც წინასწარმეტყველები იყო მხსნელის (უფლის ცხებულის – ქრისტეს) ქალწულისგან დაბადება და ინატრა, ნეტავი იმ ნეტარი ქალწულის მსახური ვიქნებოდე, რომლისგანაც ღვთაებრივი ყრმა უნდა დაიბადოსო.

უფალმა **„მოხედა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა“ და მთვარანგელოზი გაბრიელი სწორედ იმ დროს მიავლინა მასთან სასიხარულო ამბის მაუწყებლად.** მთავარანგელოზი გამოეცხადა ქალწულს და ახარა, რომ მისგან იშვებოდა იესო ქრისტე, მხსნელი სოფლისა. მაკვირველმა გამოცხადებამ წმინდა ქალწული შეაძრწუნა და ჰკითხა, როგორ მოხდებოდა ეს... მთავარანგელოზმა აუხსნა, რომ ყრმა ჩაისახებოდა სულიწმინდის მიერ და ძალა მაღლისა (ღვთისა) დაიფარავდა მას. ამის შემდეგ მიმადლებულმა ქალწულმა თქვა: **„აჰა, მხევალი უფლისა, მეყავნ მე სიტყვისებრ შენისა“.**

საგულისხმოა, რომ ხარების დღესასწაული უმეტესწილად ხვდება დიდ მარხვაში...

გილოცავთ ხარების დღესასწაულს!

გიული ლიპარტია

„კასინის“ დიდებული დასასრული,

ანუ სატურნის რკალის საიდუმლო ამოხსნილია

„კასინი“ იყო პირველი საჰაერო ხომალდი, რომელმაც 2004 წელს სატურნის ორბიტას შემოუარა. მან შეისწავლა პლანეტის ავრორალური მაგნიტოსფერო და რამდენიმე მთვარე. „კასინიმ“ აღმოაჩინა მიწისქვეშა ოკეანის კვალი სატურნის მთვარე ენსელადუსზე. მან აღმოაჩინა მთვარე ტიტანი, რომელიც გეოგრაფიული მონაცემებით დედამიწას წააგავს (თხევადი გაზის უზარმაზარი ტბები, რომელიც დედამიწის ნავთობისა და გაზის მთლიან მარაგს აჭარბებს). მან დაადგინა, როგორ ფორმირდება ახალი მთვარე სატურნის რკალისგან და გადაიღო ფოტომასალა აქამდე წარმოსახვითი რკალისა და პლანეტის ზედაპირის შესახებ. მას ნასამ საბოლოო მისია დააკისრა: ამოხსნას სატურნის რკალის საიდუმლო. შემდეგ კი, პლანეტის ატმოსფეროში განადგურებისათვის დაეშვება.



„ჩვენ არ შეგვიძლია განსვაზღვროთ იმ ნაწილაკების უზარმაზარი მოცულობა რაც რკალშია, ამის ცოდნას უმთავრესი როლი აქვს ხანდაზმულობის დადგენაში და ეს ჯერ კიდევ რჩება სატურნის იდუმალ გამოცანად. მზის სისტემაში, ამ უჩვეულო სტრუქტურის ჩამოყალიბების შესწავლით გავარკვევთ პლანეტების ფორმირებას სხვა ვარსკვლავების სისტემებშიც“, – ამბობს ნასას სპიკერი პრესტონ დიჩესი.

ამ საიდუმლოს გამოსაცნობად 26 აპრილს საჰაერო ხომალდი „კასინი“ სახიფათო და უპრეცედენტო მანევრს გააკეთებს და დაეშვება სატურნსა და მის საიდუმლოებებით მოცულ რკალს შორის. რობოტი შეძლებს გადაიღოს უპრეცენდენტო კადრები. 26 აპრილს ხომალდი ჩავა 1500 მილის (2414 კმ) სიგანეზე პლანეტის ატმოსფეროსა და შიდა რკალს შორის და ამ პროცედურას 22-ჯერ განახორციელებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს საკმარისი მასალების მოპოვებას კალკულაციისათვის და გამოაგზავნის დედამიწაზე, რათა განისაზღვროს რკალის მოცულობა. აქამდე არც ერთი საჰაერო მოწყობილობა არ ყოფილა ამ მონაკვეთში.

როგორც დიჩესი აცხადებს ნასამ უკვე იცის სატურნისა და მისი რკალის მოცულობა, მაგრამ რთულია პლანეტისა და რგოლის მასების ერთმანეთისათვის გამოკლება, მაშინ როცა „კასინის“ შეუძლია დაადგინოს სატურნის გრავიტაცია მისი რკალის ფაქტორის გათვალისწინებით.

„კასინის“ დიდებული დასასრული, როგორც მას ნასა მოიხსენიებს, შესაძლოა, გამოდგეს ყველაზე სანახაობრივი საგმირო საქმე მეცნიერების ისტორიაში. ამ სანახაობის საილუსტრაციოდ ნასა ავრცელებს ვიდეომასალას, სადაც ასახულია პროცესი თუ როგორ იჭრება კაცობრიობის ისტორიაში პირველად საჰაერო ხომალდი სატურნის ატმოსფეროში და როგორ ნადგურდება 20-წლიანი შეუსვენებელი შრომის შემდეგ იქ, სადაც მასზე ჭკვიანი ჯერ არავინ მოხვედრილა.

როცა „კასინი“ საბოლოოდ გაითიშება, სექტემბერში ის დაიღუპება იმით რასაც მთელი მისი არსებობის პერიოდში აკეთებდა – ძიებაში...

სანთელი

ნატო მახარაძე

წლებია, უკვე აპრილის ცხრასაც უშენოდ ვხვდებით ჩვენო ნატული

ორმოცდაათი წელი შეგისრულდებოდა 9 აპრილს!..

შენმა გახსენებამ მშობლებს სიცოცხლის კიდევ ერთი სიმი ჩაგვწყვიტა გულში, ჩვენო ერთადერთო იმედო და სიხარულო!

რა მწარეა, მეტად მწარე შეგრძნება, რომ ნატული ჩვენ შორის აღარაა!!!

სულის სიღრმემდე შემძვრელია, გაუსაძლისია!..

წახვედი და თან წაიღე სამარადისო სიყვარული შვილებისა...

და „უდედოდ, გაზრდა ვინა თქვა შვილების“?! – რარიგ ძნელია!..

შენ არ დაგცალდა, თვალი შეგევლო, როგორი ღელვა-დუღილით დაიზარდნენ უდედოდ, სიყვარულის უმზეო ცისქვეშეთში შენი შვილები.

შენ არ დაგცალდა, ზიარებოდი შენი მარიამის, შენი გიორგისა და ავთოს სტუდენტური ცხოვრების სიხარულს.

შენ ხომ მუდამ გწამდა სანთელ-საკმევლის მარადისობის?..

შენს მშობლებს კი სამარადჟამო ტკივილი დაგვიტოვე გულში... მაგრამ... რა ვუყოთ, დღეს შვილო შენი ორმოცდამეათე გაზაფხულის ჟამი დამდგარა...

ისევ უშენოდ!..

ისღა დაგვრჩენია, მოვეფეროთ საფლავის ქვადქცეულ შენს ნაღვლიან-დარდიან სახეს...

ისღა დაგვრჩენია, მოგილოცოთ მიწადქცეული იუბილე, გაგათბოთ მშობლიური სიყვარულით ჩვენო ლამაზად შვილების გამზრდელო ნატო!..

მეტად მძიმეა შენი დაკარგვა...
ოოო. როგორ გვაკლიხარ!!!
გვიჭირს უშენოდ...
აქ შენი ცოცხალი სულია დაუნჯებული...
ვაი, რა ჩქარა გავიდა წლები!..

მუხლმოყრილნი ეფერებიან შენი შვილები საფლავის ფიქრიან სურათს, ნაადრევად დაფერფლილ სიცოცხლეს შენსას, ღიმჩამქრალ სახეს, წუთისოფლის ბედისწერის კვალი რომ შერჩენია...

ზღაპარივით გაიელვე, ზღაპარივით იცხოვრე... შენს საფლავსაც დაუჯერებელ ზღაპრადვე ვითავისებთ სანუგეშებლად...

გულს ენატრები, სულს შენი სითბო სწყურია შვილო!..

სულში სიკეთე გენთო ყოველთვის, გულს გულის წილ გასცემდი... დავყურებთ იმედის საფლავს... წავალთ და გავიყოლებთ ჩვენ წილ სიყვარულს ისევ იმედით... დროდადრო ცრემლებით „სიცოცხლის ძალას “ შევმატებთ ნატულის საფლავს.

როდემდე, როდემდე?! სიტყვა უძლურია!..

საწუხარი და სატკივარი არ დაუკლია წუთისოფლის ბედისწერას შენთვის...

და მაინც ბედისწერას ენდე... ენდე მონანიე ღიმით, ანგელოზის მოჩურჩულე ხმით... ვერ შევეგებე გაზაფხულს აპრილის ცხრას...

დღეს შენს საფლავზე სტვენენ ჩიტები
და მწუხარება გულს ეჭიდება
და თუ გგონია, აღარ გვჭირდები
აქ მოვალთ, როცა გაგვიჭირდება...

და შენს ოჯახში გაუსაძლისი გლოვაა, უჭირთ უშენოდ შენს შვილებს, გვიჭრს უშენოდ შენს მშობლებს...

და... მოვალთ, მოგეფერებით... გავათბობთ შენს მეოცნებე მგზნებარე სულს, ხსოვნაში მარად ჩარჩენილ სულს!

და ყოველ საუფლო თუ სახსოვარ დღეებს საკმევლის წილ ყვავილთა სურნელით შეგიმკობთ საფლავს...

შევალთ ტაძარში, სანთელს დაგინთებთ!..
ეს იყო ჩვენი სამადლობელიც!..

მშობლები ეთერი და ავთო მახარაძეები
6.04.2017 წ.

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი **ნანა მელია-პაიჭაძე** წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით **1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ქუსლის ტკივილს.**

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

სანკტ-პეტერბურგში ტერორისტის სავარაუდო თანამზრახველები დააკავეს

სანკტ-პეტერბურგის პოლიციამ აკბარჯონ ჯალილოვის სავარაუდო თანამზრახველები დაიკავა. ამის შესახებ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა სვეტლანა პეტრენკომ განაცხადა. მისივე თქმით, დაკავებულია შუა აზიის რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც სანკტ-პეტერბურგელ ტერორისტთან კონტაქტში იმყოფებოდნენ. მათი ბინები სამართალდამცველებმა უკვე გაჩხრიკეს. მასშტაბური ტერორისტული აქტი სანკტ-პეტერბურგის მეტროში 3 აპრილს განხორციელდა. აფეთქებას 14 ადამიანი ემსხვერპლა.

◎ პოეტის ერთი ლექსი

აგრაფინა კისკისა

აგრაფინა კისკისა XIX საუკუნის ქუთაისელი ლამაზმანი აგრაფინა ჯაფარიძეა, რომელიც ტარიელ დადიანის მეუღლე იყო. 1881 წელს იგი მიხაი ზიჩის სალონში „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ცოცხალ სურათებში ნესტანს განასახიერებდა. აქ ნახა იგი რუსეთის საიმპერატორო კარის ნათესავმა, იმპერატორის ბრძანებით მეტროპოლიდან ქუთაისის ცხენოსანთა რაზმის უფროსად გამოძეებულმა, გერმანელმა პრინცმა ოლდენბურგმა. იგი ისე მოიხიბლა მისით, რომ გათხოვილ ქალს ხელი სთხოვა. აგრაფინამ იუარა, მაგრამ ძალიან მდიდარმა პრინცმა მის ქმარს ასტრონომიული თანხა შესთავაზა. ქმარმა აგრაფინა პრინცს მიათხოვა, რომელთანაც ექვსი შვილი შეეძინა.

პრინცმა მშვენიერ მეუღლეს თვალსაჩინო ადგილას ვარდისფერი სასახლე აუშენა. იგი დღემდეა მოღწეული. ახლა უშიშროების სამსახურის განყოფილებაა. ბალახვანში ააგო ღვინისა და კონიაკის ქარხანა, რითაც კიდევ უფრო გამდიდრდა.

„აგრაფინა კისკისაო დადიანმა პრინცს მისცაო“ — ასე გააუკვდავა მშვენიერი „აგრაფინა კისკისა“ ხალხურმა ლექსმა. მეც გამოვიხმე წარსულიდან მისი აჩრდილი.

ქუთაისში ჯაჭრული დაგიჯერს და წაგიყვანს.
კამერაში კი არა, რესტორანში „ჩაგსვამს“.
თავად ფხიზლოგს, ლუდს არ სწყალოგს, არ სვამს.
ჯერ დაგათრობს და მერე სამშვიდოგოს გაგიყვანს.
ქუთაისში ყველა ყველას მასპინძელია.
საკრალური თემაა ქუთაისში სტუმარი.
ქუთაისში სტუმარ-მასპინძლობა ძველია,
ახალია სუფრა და სტუმრის თავსასთუმალი.
ერთხელ რიონისპირ ქარმა ისე გამლახა,
მომეელანდა ლამაზი აგრაფინა კისკისა.
და როცა ხელი ჩამოვართვი გალახვანს,
ჭაშნიკი მომაწოდა საკუთარი ღვინისა.
მხილველს აგრაფინასი თავი არ მაქვს სუფრისა,
რომელი პრინცი მე ვარ, იმედი მაქვს რისკისა.
მადლობელი ვიქნები გედისა და უფლისა,
თუკი გადავეყრები აგრაფინა კისკისას.
აგრაფინა კისკისა დადიანმა გაყიდა,
ვეღარ ჩამოვირეცხავთ, რა სირცხვილიც გვაჯამა.
ამისთანას არაფრით არ იქმოდა ყაყიტა,
ასე იყიდებოდა მესხეთი და აჯარა.
მომეენატრა ძალიან გაღი და გაღისკიდე,
გაცვეთილი რითმაა ყაყაჩო და ხარაჩო.
აგრაფინა კისკისა თუ არ გამოვისყიდე,
ჯორჯაძის და-ძმეგვით წყალწითელამ დამახრჩოს!
როცა ვნახე მე მისი ვარდისფერი სასახლე,
გაგრწყინებგა მეგონა იმერული ცისკრისა,
ღმერთო, ქუთაისში მალე გადამასახლე,
ღმერთო, დამასიზმრე აგრაფინა კისკისა.



შოთა ზოიძე
ბათუმი
4.4.2017 წ.

◎ ინტერნეტიდან

შვილი ისეთი რამაა...

ჩიტმა ამბავი მოიტანა, რომ ცნობილ კოლუმბიელ მომღერალსა და ხერარდ პიკეს თანამოსაყდრეს შაკირას ფრიად უცნაური ამბავი მოსვლია მის მშობლიურ კოლუმბიაში და მისთვის ალბათ დიდად სასიხარულო უნდა იყოს ის, რომ ეს აბდაუბდა და ოცობოდია საბოლოოდ მაინც კარგად დასრულდა.

კოლუმბიაში შაკირა იქაურ მდიდარ ბიძებს მიუწვევიათ კორპორატიულ ვახშამზე სამღერლად და სახუნტრუცოდ და შაკირას

თან თავისი შვილიც წაუყვანია — ცოტას გაივლ-გამოივლის და ბავშვიც თვალს წყალს დაალევინებსო, მაგრამ ისე მოხდა, რომ დედაქალაქ ბოგოტას აეროპორტში შაკირას თავისი შვილი დაუკარგავს და მთელი ერთი საათი გადარეული ეძებდა ბავშვს.

შაკირასა და ხერარდის 3 წლის ვაჟიშვილი მილანი თურმე აეროპორტის თანამშრომლებთან საუბარში და თამაშში გართულა და სულ დავიწყებია თმაბუჩქა დედიკო, რომელიც იმ დროს დიდ გაწამაწიაში იყო. ხერარდ პიკე ამ ამბის გაგების შემდეგ შაკირას რომ გვარიანად შეუკურთხებდა — ამაზე მგონი კამათიც კი არ ღირს...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ გამოფენა

„ვაშლის სინდრომი“: სერია გაგრძელდება

წლების წინ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგიკული ამბების გამოძახილი ამჟამადაც ძალუმად ჟღერს ყველა იქიდან იძულებით წამოსული ადამიანის, თითოეული ჩვენგანის გულში, წარუშლელ კვალად რჩება მრავალი ლტოლვილის დღევანდელ ყოფაში.

ერთ-ერთი ასეთი გახლავთ ჩვენი დიდად ნიჭიერი თანამემამულე, 1988 წელს გაგრაში დაბადებული მხატვარი სალომე რიგვავა, რომელსაც მშობლიური კუთხის დატოვება ოთხი წლისას მოუწია. თბილისის ნიჭიერთა სახელოვნებო ათწლედის დამთავრების შემდეგ, სალომე რიგვავამ სწავლა სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე განაგრძო, სადაც ფერწერის ხელოვნებას ეუფლებოდა. 2012 წელს კი, აკადემიის მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის სტიპენდია მოიპოვა და ორი წლის მანძილზე ქალაქ შტუტგარტის სახელმწიფო სახელოვნებო აკადემიაში კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამულ კურსს გადიოდა. სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ კი ახალგაზრდა მხატვარმა გერმანიაში კიდევ ორ წელს დაჰყო. ამ ხნის მანძილზე გერმანიის რამდენიმე ქალაქში — შტუტგარტში ჰაიდელბერგში, ბერლინსა და მიუნჰენში გამართულ არაერთ სამხატვრო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

სალომე რიგვავას წარმატებათა ნუსხაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს შარშან ამერიკაში, ნიუ-ჯერსის შტატში სახელოვნებო რეზიდენციის კონკურსში გამარჯვება.

1 აპრილს, ზურაბ წერეთლის თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, სალომე რიგვავას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა გაიხსნა, რომელზეც ძირითადად მისი ბოლოდროინდელი ნამუშევრებია წარმოდგენილი.

— „ვაშლის სინდრომი“ — ასე ეწოდება ჩემს ფერწერულ ნამუშევართა სერიას, რომელზეც მუშაობა 2010 წელს დავიწყე, ზეთის საღებავებით ნამუშევრებს თავდაპირველად ქაღალდზე ვხატავდი, შემდეგ მუშაობა ტილოზე განვაგრძე, — ამბობს მხატვარი. — სერიის სიუჟეტური ხაზი ბიბლიურია, მე უფრო არა იმდენად ცოდვის, რამდენად შეუცნობლის, თუნდაც აკრძალულის ძიების, ზოგჯერ სტერეოტიპებთან ბრძოლის და ამის თანმდევი ტკივილის შეგრძნების ასახვა მიზანია.

დავს. სერიის გაგრძელებას მომავალში კვლავაც ვაპირებ.

გამოფენა თვის ბოლომდე გასტანს.

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4276; ევრო - 2.5900;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0292;
100 რუბლი - 4.3279; თურქული ლირა - 0.6568;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4257;
1000 სომხური დრამი - 5.0116.

ამინდი 7 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+7,	დღე	+23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge